# ჩვენი სოფელი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა

ოქტომბერი/2017 **N10(25)**

## საქართველო მეღვინეობის აკვანი

## BORDEAUX

უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან, რომლებიც ადასტურებს, რომ საქართველო უძველესი ღვინის ცივილიზაციის ქვეყანაა, საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში, ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში - Cité des Civilisations Du Vin - გამოიფინა.

გამოფენა სახელწოდებით „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა. მთავრობის მეთაურმა ქართული საგამოფენო სივრცე ბორდოს მერთან, ალან ჟუპესთან ერთად დაათვალიერა.

ექსპოზიცია, რომელიც ცენტრში ქართული ღვინის კულტურას წარმოაჩენს და ქართული მეღვინეობის უდიდეს და უწყვეტ 8 000 წლიან ისტორიას ასახავს, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მოამზადა.

ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში, გამოფენის ფარგლებში, არაერთი ღონისძიება იმართება, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციები, პრეზენტაციები, ღვინის პროფესიული დეგუსტაციები, რომელსაც მსოფლიოში აღიარებული ღვინის ექსპერტები უძღვებიან. გაიმართა სპეციალურად გამოფენისადმი მიძღვნილი კულტურული და თემატური ღონისძიებებიც.

გამოფენას, მხოლოდ პირველი კვირის განმავლობაში, 4 000-მდე დამთვალიერებელი სტუმრობდა.

ღვინის მსოფლიო დედაქალაქ ბორდოში, რომელიც ყოველწლიურად 6 მილიონზე მეტ ტურისტს მასპინძლობს, გამოფენა - „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ 5 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

გვ.2-3


**რთველი 2017**

**პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე რთველის შესახებ ისაუბრა. პრემიერმა „რთველი 2017“ წარმატებულად შეაფასა და მადლობა გადაუხადა რთველის საკოორდინაციო შტაბს.** გვ.4-5

**სახელმწიფო ხელშეწყობა**

- **კოოპერატივის წევრებს საშუალება ეძლევათ, სარგებელი ყურძნის რეალიზაციის გარდა, უკვე ღვინის რეალიზაციიდან მიიღონ.**
- **„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამაში“ რეგისტრაცია გრძელდება.**

გვ.8

**წარმატების ისტორიები**

- **გორში ახალი საწარმო გაიხსნა**
- **პირველი მოსავალი პროგრამის „დანერგე მომავალი” ფარგლებში**
- **სატელეკომუნიკაციო ბიზნესიდან მეჩაიეობამდე**
- **სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შემქნილი მეფრინველეობის ახალი ფერმა**

გვ.9

**ბიზნესგეგმა აგროსაწარმოს მაგალითზე**

**ბიზნესგეგმის შინაარსი დამოკიდებულია საწარმოს, ბიზნესის, პროექტის მახასიათებლებზე, ბიზნესგეგმის მიზნობრიობაზე.** გვ.12-14

**საშემოდგომო სამუშაოები**

**თავთავიანი კულტურების წარმოებაში საშემოდგომო ფორმების ხვედრითი წილი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი საგაზაფხულო ფორმებისა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მისი მოსავლიანობა უფრო მყარი და საიმედოა.** გვ.15

**თხილის კულტურის სარეველები**

**თხილი (Corylus avellana L.) მნიშვნელოვანი კაკლოვანი კულტურაა. თხილის ნაყოფი შეიცავს 60-70% ცხიმს, 20% ცილას, მაკრო და მიკროელემენტებს.**

გვ.16

# BORDEAUX



უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან, რომლებიც ადასტურებს, რომ საქართველო უძველესი ღვინის ცივილიზაციის ქვეყანაა, საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში, ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში - Cité des Civilisations Du Vin - გამოიფინა.

გამოფენა სახელწოდებით „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა. მთავრობის მეთაურმა ქართული საგამოფენო სივრცე ბორდოს მერთან, ალან ჟუპესთან ერთად დაათვალიერა.

ექსპოზიცია, რომელიც ცენტრში ქართული ღვინის კულტურას წარმოაჩენს და ქართული მეღვინეობის უდიდეს და უწყვეტ 8 000 წლიან ისტორიას ასახავს, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მოამზადა.

ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში, გამოფენის ფარგლებში, არაერთი ღონისძიება იმართება, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციები, პრეზენტაციები, ღვინის პროფესიული დეგუსტაციები, რომელსაც მსოფლიოში აღიარებული ღვინის ექსპერტები უძღვებიან. გაიმართა სპეციალურად გამოფენისადმი მიძღვნილი კულტურული და თემატური ღონისძიებებიც.

გამოფენას, მხოლოდ პირველი კვირის განმავლობაში, 4 000-მდე დამთვალიერებელი სტუმრობდა.

ღვინის მსოფლიო დედაქალაქ ბორდოში, რომელიც ყოველწლიურად 6 მილიონზე მეტ ტურისტს მასპინძლობს, გამოფენა - „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ 5 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

## პრემიერ-მინისტრის გამოსვლა მიღებაზე „საქართველო - ღვინის სამშობლო“

**საფრანგეთი, ბორდო**

**ძვირფასო სტუმრებო,**

განსაკუთრებით მინდა მივესალმო საფრანგეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბორდოს მერს, ალან ჟუპესა და ღვინის კულტურებისა და ცივილიზაციების ფონდის პრეზიდენტს, ქალბატონ სილვი კაზს.

ჩემთვის ძალიან საამაყოა ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობა. დღეს „ღვინის ციტადელში”, ბორდოში, ჩვენ პატივს მივაგებთ „მეღვინეობის აკვანს”, საქართველოს.

8000 წელი საკმარისი დროა, რათა ეს საქმიანობა ეროვნული იდენტობის მთავარ ნიშნად იქცეს. სწორედ ასე მოხდა საქართველოში.

ღვინო ქართული ეროვნული იდენტობის მთავარი მახასიათებელია; ისევე, როგორც, მაგალითად, ყოველმხრივ დახვეწილი გემოვნება ფრანგულ ეროვნულ იდენტობას განსაზღვრავს.

მართალია, ღვინო ფრანგული იდენტობის არსებითი ელემენტია და ფრანგებს მეღვინეობის დიდი კულტურა აქვთ, მაგრამ, რაც შეეხება საქართველოს, არსებობს ღვინის კულტი და, რასაკვირველია, მეღვინეობის კულტურაც.

არის ასეთი ქართული ხალხური გამოთქმა - „ვაზო, შვილივით ნაზარდო”, - ეს სიტყვები ნათლად მეტყველებს იმ სიყვარულსა და ზრუნვაზე, რომლითაც ქართველები მევენახეობას ეკიდებიან.

სამწლიანი კვლევის შემდეგ, 7 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა.

ღვინის უძველესი ნარჩენები აღმოჩენილია საქართველოში და მოწინავე ლაბორატორიებში ჩატარებული ექსპერტიზის მონაცემებით, 8000 წლის წინანდლად თარიღდება.

გარდა ამისა, Vitis Vinifera-ს - ვაზის უძველესი ცნობილი სახეობის, წიპწები აღმოჩენილია საქართველოში და ამავე პერიოდით თარიღდება.

მინდა, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ჯგუფს მადლობა გადავხადო ჩვენი ქვეყნისათვის გაწეული შეუფასებელი სამსახურისათვის.

ძვირფასო მეგორებო, ჩვენმა პატარა ერმა თავის მცირე მიწაზე წარმატებით მოახერხა ვაზის 500-ზე მეტი ჯიშის მოშენება და კულტივაცია. სწორედ ამ სფეროში გამოვიჩინეთ ჩვენ ყველაზე დიდი გამჭრიახობა და მივაღწიეთ ყველაზე დიდ წარმატებას.

მე ვამაყობ ჩემი წინაპრებით, რომლებმაც ათასწლეულების წინ შექმნეს მეღვინეობის ნოუჰაუ, სახელწოდებით -„ქვევრი”. თიხის ეს ჭურჭელი თითქმის ყველა ქართულ ოჯახში ჰქონდათ. მეც ასეთ ოჯახთა რიცხვს მივეკუთვნები.

როგორც წესი, ქვევრი ყელამდე მიწაშია ჩაფლული, რაც მასში დაყენებულ ღვინოს, ნიადაგის თვისებების გამო, უნიკალურ გემოს სძენს.

2013 წელს იუნესკომ „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. ეს ტრადიცია უდიდეს როლს ასრულებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუ განსაკუთრებული მოვლენების დროს. ის არის ქართველთა კულტურული იდენტობის განუყოფელი ნაწილი, ხოლო ღვინოსა და ვაზს ხშირად იხსენიებენ ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ხალხურ სიმღერებში. ამ მემკვიდრეობის ცოდნას ოჯახები თაობიდან თაობას გადასცემენ, უზიარებენ მეზობლებსა და მეგობრებს, რომლებიც ერთად მონაწილეობენ რთველსა და ღვინის დაყენების პროცესში.

ქვევრი ქართული ისტორიისა და კულტურის სიმბოლოა, მისი წარსული ფესვებით მიწაშია, ხოლო მომავალი - ჯერ კიდევ დაღვინების პროცესში.

დღეს, როცა საქართველო ევროპაში ბრუნდება, კულტურაში, რომლის ნაწილიც ის იყო, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში მოწყვეტილი აღმოჩნდა; ის ასევე უერთდება ევროპულ მეღვინეობას.

ჩვენ განსაკუთრებით მადლიერნი ვართ ფრანგი ერის, ბორდოს მოსახლეობისა და მუზეუმ La Cite du Vin-ის ადმინისტრაციის, რადგან საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, ყოფილიყო პირველი ქვეყანა - „მოწვეული ვენახი”, რომელიც წარადგენს და მთელს მსოფლიოს უზიარებს თავისი ღვინის განსაკუთრებულ სახეობებს.

დიდი მადლობა.

## ბორდოში, ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრის შესასვლელში ქვევრი დაიდგა

ქვევრი ღვინის მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრის მუდმივი ექსპოზიციის ნაწილია - იუნესკოს მიერ, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებასთან დაკავშირებით, ბორდოში Cité des Civilisations Du Vin-ის ცენტრალურ შესასვლელში დიდი ზომის ქვევრი განთავსდა.

უკვე მეცნიერულად დადასტურებულია, რომ საქართველოში ქვევრში ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს, არსებობს მეღვინეობის უწყვეტი ტრადიცია და საქართველოში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის უძველესი ჭურჭელი ძვ.წ. VI-V ათასწლეულებს განეკუთვნება.

# საქართველო - მეღვინეობის აკვანი

ქართველი და უცხოელი მეცნიერები

## ბორდოში მეცნიერებმა ქართულ მეღვინეობაზე ანგარიში წარადგინეს

ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში, ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა საერთაშორისო მნიშვნელობის სახელმწიფო პროექტის „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“ ფარგლებში ჩატარებული შედეგების ანგარიში წარმოადგინეს და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

შეხვედრა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა გახსნა და გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა პროექტის მონაწილე მეცნიერებს.

„ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი 2015 წლიდან ხორციელდება. პროექტმა შესაძლებლობა მოგვცა, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ისტორია კიდევ უფრო სიღრმისეულად წარმოგვეჩინა ეთნოგრაფიის, პალეობოტანიკის, მოლეკულური გენეტიკის, არქეოლოგიის, აგროკლიმატოლოგიისა და კიდევ არაერთი მიმართულებებით გაწეული კვლევების საფუძველზე. უმნიშვნელოვანესია ის შედეგები, რომელიც მივიღეთ. სწორედ ამ შედეგებისა და მიმდინარე კვლევების მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროექტი აქტუალობას არ კარგავს და ის მომავალშიც გაგრძელდება“, - განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

როგორც ასოციაციის „ქართული ღვინო“ აღმასრულებელმა დირექტორმა, თინათინ კეზელმა სამეცნიერო კონფერენციის მნიშვნელობის შეფასებისას აღნიშნა, სამწლიანი პროექტის ფარგლებში მიღებულმა შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. ეს შედეგები კიდევ ერთხელ ამყარებს იმ ფაქტს, რომ საქართველო ნამდვილად არის ღვინის აკვანი.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგების შესახებ სპეციალური მოხსენებით მეცნიერთა ჯგუფის წინაშე პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი პატრიკ მაკგოვერნი (Patrick Edward McGovern) წარსდგა. როგორც ამერიკელმა მეცნიერმა განაცხადა, მოვლენებს წინ არ უნდა გავუსწროთ, არსებობს გარკვეული წესები და შეთანხმებები. ფართო საზოგადოება, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, ქართული მეღვინეობა-მევენახეობის ისტორიასთან დაკავშირებული კვლევის საერთაშორისო მნიშვნელობის შედეგების შესახებ ინფორმაციას უახლოეს ხანში მიიღებს.

სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში მეცნიერებმა ჩატარებული კვლევების შესახებ პრეზენტაციები წარმოადგინეს და მოსაზრებები შეაჯერეს.

მეცნიერთა ჯგუფის შეკრება ქალაქ ბორდოში მიმდინარე გამოფენის „საქართველო - ღვინის სამშობლო” ფარგლებში გაიმართა. პროექტში ქართველ მეცნიერებთან ერთად, ჩართული არიან წამყვანი სპეციალისტები მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან, მათ შორის საფრანგეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, აშშ-დან.

თინათინ კეზელი, პატრიკ მაკგოვერნი, დავით ტყემალაძე



ანა გოდაბრელიძე, ერვე რომა, გიორგი სამანიშვილი

## ქალაქ ბორდოში ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციები გაიმართა

საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში მიმდინარე გამოფენის „საქართველო - ღვინის სამშობლო” ფარგლებში, 13-დან 15 ოქტომბრის ჩათვლით, ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციები ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი სამანიშვილის, ცნობილი ღვინის მაგისტრის, ჯულია ჰარდინგის, ღვინის ექსპერტის, ერვე რომასა და ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარის, ანა გოდაბრელიძის ხელმძღვანელობით გაიმართა.

დეგუსტაცია-პრეზენტაციის ღონისძიებებს 100-მდე სტუმარი - ღვინის მოყვარული და პროფესიონალი დაესწრო.

ღვინის ცივილიზაციის ცენტრში (Cité des Civilisations Du Vin) მიმდინარე წლის ივლისიდან ქართული გამოფენა უამრავ დამთვალიერებელს მასპინძლობს. წარმოდგენილი ექსპოზიცია სტუმრებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის უწყვეტ ისტორიას გაეცნოს და ამავე დროს, ქართველი და უცხოელი ღვინის მაგისტრების ხელმძღვანელობით, ქართული ღვინის დეგუსტაციებში მიიღოს მონაწილეობა.

„გამოფენა ღვინის ცივილიზაციის ცენტრში არის საუკეთესო საშუალება, კიდევ უფრო კარგად გავაცნოთ ქართული ღვინო ღვინის მოყვარულებს მთელი მსოფლიოდან. გამოფენის ფარგლებში არაერთი დეგუსტაცია-პრეზენტაცია ჩატარდა, სადაც მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ

ჯულია ჰარდინგი

გაცნობოდნენ ქართულ ღვინოს, ქართული ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებას, ღვინის დაყენების მეთოდებს. ასეთი დეგუსტაციები საშუალებას იძლევა, მომხმარებელმა არა მარტო დააგემოვნოს ღვინო, არამედ დასვას კითხვები, მიიღოს მეტი ინფორმაცია, გაეცნოს სხვადასხვა მოსაზრებას“, - განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

მუზეუმის სტუმრებისთვის გამართულ დეგუსტაციაზე ქართული ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებაზე, მევენახეობა-მეღვინეობის 8000 წლიან უწყვეტ ისტორიასა და ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციებზე, მათ შორის ქვევრის ღვინის უნიკალურობაზე ღვინის ექსპერტებმა ჯულია ჰარდინგმა და ერვე რომამ ისაუბრეს.

„ბორდოში საქართველოს წარმოჩენა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ბორდო არის მეღვინეობის უდიდესი რეგიონი, სადაც ბევრი და კარგი ღვინო იწარმოება. ამ რეგიონს მეღვინეობის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, არა იმაზე დიდი ხნის, ვიდრე საქართველოს. ჩემთვის დიდი პატივია, გამოფენის ვიზიტორებს გავუზიარო ქართული ღვინის ხარისხის, მისი ხასიათის შესახებ მოსაზრებები“, - აღნიშნა გამართული პრეზენტაცია-დეგუსტაციის მნიშვნელობის შეფასებისას ჯულია ჰარდინგმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი მიწვეული ქვეყანაა, რომელმაც ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის ცენტრში მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა და მუზეუმის საპატიო მასპინძელია.

# რთველი 2017

## მთავრობის სხდომა

პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე რთველის შესახებ ისაუბრა. პრემიერმა „რთველი 2017“ წარმატებულად შეაფასა და მადლობა გადაუხადა რთველის საკოორდინაციო შტაბს.

**გიორგი კვირიკაშვილი,** საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

„რთველი 2017“ ძალიან წარმატებულად დამთავრდა. დღევანდელი მონაცემებით, მხოლოდ კახეთის რეგიონში, 125 ათას ტონამდე ყურძენი გადამუშავდა, მევენახეების შემოსავალმა 143 მილიონი ლარი შეადგინა.

ეს არის ნამდვილად თითოეული მევენახის, თითოეული გლეხის, მთლიანად საქართველოსა და, რა თქმა უნდა, ხელისუფლების წარმატება.

რთველის პროცესში ჩართული იყო 230 კომპანია და ყურძენი კომპანიებს 15 ათასამდე მევენახემ ჩააბარა.

მთელი ეს პროცესი იყო ძალიან ორგანიზებული, მევენახეები და მეწარმეები ფასზე სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად შეთანხმდნენ. ფასი განისაზღვრა ადგილ-წარმოშობის, ხარისხის და სხვა ფაქტორების მოთხოვნაზე დაფუძნებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

სახელმწიფოს მიერ სწორად ჩატარებული პროცესით, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდა - ეს იყო ხვნისა და თესვის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტები, აგროდაზღვევის სისტემა და, რა თქმა უნდა, ბაზრების დივერსიფიკაცია, დღეს უკვე შექმნილია ჯანსაღი სისტემა, რომელიც ძალიან წარმატებით მუშაობს.

ეს, ვფიქრობთ, ძალიან კარგი შედეგია. მინდა, მადლობა გადავუხადო მთლიანად რთველის საკოორდინაციო შტაბს და კონკრეტულად სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილს ძალიან ორგანიზებულად და წარმატებულად ჩატარებული რთველისთვის.

**ლევან დავითაშვილი,** სოფლის მეურნეობის მინისტრი:

„რთველი 2017“ უპრეცედენტო წარმატებით დასრულდა. წელს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა იყო მინიმალური. სახელმწიფოს არ მოუწია ჭარბი ყურძნის შეძენა, რადგან კერძო სექტორმა მთლიანად დააბინავა ყურძენი ყველანაირი შეფერხების გარეშე.

130 000 ტონამდე ყურძენი უკვე გადამუშავდა, 150 მილიონ ლარამდე თანხა მიიღეს მევენახეებმა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი შემოსავალი სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის. მათი ეკონომიკური საქმიანობა არის წარმატებული და ეს წარმატება მთლიანად სექტორის წარმატებას უკავშირდება.

კერძო სექტორის მხრიდან გაჯანსაღებულია მოთხოვნა. კერძო სექტორი არის გაძლიერებული, რასაც წინ უძღოდა სახელწიფო პროგრამები რამდენიმე წლის განმავლობაში, რომლის შედეგადაც ჩვენ მივიღეთ ათობით გადაიარაღებული და ახალი საწარმო, მოდერნიზებული კომპანიები. გაძლიერებული კომპანიები წარმატებული არიან საერთაშორისო ბაზრებზე.

ქართული ღვინო, როგორც კატეგორია, ყალიბდება მთელ რიგ ახალ მიმართულებებზე და, შესაბამისად, ეს ყველაფერი გაზრდილ მოთხოვნაზე აისახება.

ღვინის სექტორის პარალელურად, ჩვენ საქართველოში საბრენდე ინდუსტრია გავაძლიერეთ. ქართული ბრენდის წარმოება დღითიდღე უფრო ფართოვდება, მისი რეპუტაცია და ხარისხი იზრდება, ბაზარზე მისი წარმოდგენა უფრო მეტად შედეგიანია.

საბოლოოდ, ჩვენ მივიღებთ ისეთ მდგომარეობას, სადაც გვექნება კონკურენტუნარიანი, თანამედროვე, ძლიერი მეღვინეობის ინდუსტრია. ყოველივე ამის წინაპირობა კომპლექსურად შეიქმნება.

საქართველო არის ღვინის შემქმნელი ქვეყანა. ჩვენ უკვე საერთაშორისო დონეზე აღიარებული ვართ, რასაც ადასტურებს არაერთი საერთაშორისო პლატფორმა, სადაც ქართული ღვინო წარმატებით წარმოჩინდა. გამოფენა, რომელიც საფრანგეთში, ბორდოშია წარმოდგენილი არის სიმბოლური დადასტურება იმისა, რომ საქართველო ღვინის გამორჩეული კულტურის ქვეყანაა.

# რთველი 2017

კახეთის რეგიონში 125 ათასამდე ტონა ყურძენი გადამუშავდა. მევენახეების შემოსავლებმა 144 მლნ ლარს მიაღწია.

კახეთის რეგიონში ყველაზე დიდი რაოდენობით ყურძენი - 34,7 ათასი ტონა - ყვარლის მუნიციპალიტეტში გადამუშავდა. შემდეგ მოდის გურჯაანი - 32 ათასი ტონა, თელავი - 24,6 ათასი ტონა, საგარეჯო - 13,2 ათასი ტონა, სიღნაღი - 10 ათასი ტონა, ახმეტა - 4 ათასი ტონა, დედოფლისწყარო - 3,2 ათასი ტონა და ლაგოდეხი - 3,15 ათასი ტონა.

რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირდა და რთველის პროცესში ჩართული იყო 230 კომპანია. ყურძენი კომპანიებს 15 ათასმა მევენახემ ჩააბარა.

რთველის აქტიური ფაზის დროს, უწყვეტ, 24 საათიან რეჟიმში, გადამუშავდებოდა 5 ათას ტონამდე ყურძენი. ამ პერიოდში ყოველდღიურად გადამუშავების პროცესში ჩართული იყო 100-მდე ღვინის საწარმო, რის შედეგადაც, წელს არ დაფიქსირებულა ქარხნებთან რიგები. რთველი ჩატარდა ორგანიზებულად და წარმატებით, არც ერთ მევენახეს არ შექმნია ყურძნის დაბინავების პრობლემა. მევენახეები და მეწარმეები ყურძნის ფასზე შეთანხმდნენ დამოუკიდებლად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. წლევანდელმა რთველმა აჩვენა, რომ მევენახეებისთვის ღვინის კომპანიების მიერ ჩატარებული ფასი მისაღები იყო. ყურძნის ფასის დადგენა მოხდა ხარისხისა და წარმომავლობის მიხედვით და მოსავალი თითქმის სრულად აითვისა კერძო სექტორმა.

რთველის საკოორდინაციო შტაბი თელავში 24 აგვისტოს გაიხსნა და მისი წევრები ღვინის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი სამანიშვილის ხელმძღვანელობით.

წელსაც, ისევე როგორც 2013 წლიდან ჩატარებულ ყველა რთველში, საწარმოებში ჩაბარებული ყურძნის აღრიცხვა ხორციელდებოდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ერთიან ელექტრონულ ბაზაში. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროგრამა ხელმისაწვდომს ხდის ჩაბარებული ყურძნის შესახებ ოპერატიულ, ზუსტ ინფორმაციას ონლაინ რეჟიმში და ყურძნის ჩაბარების მიმდინარეობას გამჭვირვალეს ხდის.

მეღვინეობის დარგში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით (ღვინის ექსპორტის ზრდა, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, გაფართოებული ღვინის საწარმოები, იაფი აგროკრედიტებისა და აგროდაზღვევის განვითარებული სისტემა), კახეთის რეგიონში, 2017 წლის რთველზე ხარისხიან, კონდიცირებულ ყურძენზე სუბსიდიის გაცემის საჭიროება არ არსებობდა და, შესაბამისად, მთავრობის განკარგულების თანახმად, აღარ გაიცემოდა. ბრენდის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელისა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეიძენდნენ, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრს იღებდნენ.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში რთველის საკოორდინაციო შტაბი 9 ოქტომბერს ქალაქ ამბროლაურში გაიხსნა. 17 ოქტომბრის მდგომარეობით, გადამუშავებულია 769 ტონა ყურძენი (ალექსანდროული და მუჯურეთული), მოსახლეობის შემოსავლებმა 5,4 მლნ ლარს გადააჭარბა. კომპანიებს ყურძენი რაჭაში 1000-მდე მევენახემ ჩააბარა.

ჯიშობრივი სიზუსტის დაცვის მიზნით, რთველის პროცესში ჩართულები იყვნენ ამპელოგრაფები.

დაცული ადგილწარმოშობის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სუბსიდია შენარჩუნდ ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე - 1კგ-ზე 2 ლარი.

## ღვინის ექსპორტი 63%-ით გაიზარდა

2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან მსოფლიოს 45 ქვეყანაში ექსპორტირებულია 52,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 63%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. ექსპორტირებულია 116 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 55%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

„მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 63%-ით გაიზარდა ღვინის ექსპორტი, 55%-ითაა გაზრდილი ღვინის რეალიზაციით მიღებული შემოსავლებიც, რაც იძლევა პროგნოზის გაკეთების საშუალებას, რომ წლის ბოლოს საქართველოდან ღვინის რეკორდული რაოდენობის ექსპორტი განხორციელდება. ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია აშშ-ის, ევროკავშირის, აზიის და სხვა ბაზრების მიმართულებით, რაც ღვინის ეროვნული სააგენტოსა და მეღვინეობის დარგის შეთანხმებული საქმიანობისა შედეგია“, - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი - 44% (5537261), რუსეთი - 95% (33243157), უკრაინა - 54%(5322683), პოლონეთი - 14% (1869852), ლატვია - 36% (1141778), ბელარუსი - 34% (1054994), აშშ - 81% (346398), გერმანია - 28% (286156), ისრაელი - 305% (170834), მონღოლეთი - 182% (112710), საფრანგეთი - 321% (96790), აზერბაიჯანი 102% (102 342) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (33243157), ჩინეთი (5537261), უკრაინა (5322683), ყაზახეთი (2044143) და პოლონეთი (1869852).

ამასთან, მსოფლიოს 22 ქვეყანაში ექსპორტირებულია 11 354 403 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 89%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 25 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი; მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 84%-ს აღწევს.

საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს 18 ქვეყანაში ექსპორტირებულია 147 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 131% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 439,3 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 83%-ს მიაღწია.

მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 194 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ზრდამ, 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით, 54% შეადგინა.

# „ქართული ღვინის კვირეული -2017“

29 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში „ქართული ღვინის კვირეული“ აღინიშნა.

კვირეული მარნეულში, როგორც ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის არქეოლოგიურ კერაში, „ქართული ღვინის ფესტივალით“ გაიხსნა. ფესტივალს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ანდრო ასლანიშვილი დაესწრო, რომელმაც ფესტივალის მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

ფესტივალის მსვლელობის დროს საწნახელში ყურძენი დაიწურა. სტუმრებმა თავი მოხადეს ქვევრს და ღვინო დააგემოვნე. გაიმართა შეჯიბრი ქართულ ტრადიციულ ჭიდაობაში, მოეწყო ქართული ღვინის, თაფლის, ყველისა და სხვა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა.

კვირეულის ფარგლებში, თბილისში, საფესტივალო აქცია: „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე 2017” გაიმართა, სადაც, ბოლო წლების განმავლობაში სახელმოხვეჭილმა თუ დამწყებმა მარნებმა თავიანთი ღვინოები წარმოადგინეს. ღონისძიებაზე წარმოდგენილი 40-მდე ღვინის მარნის 200-მდე დასახელების ღვინის დაგემოვნების შესაძლებლობა ათასობით სტუმარს ჰქონდა. აღნიშნული ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე“ 2016 წელს პირველად ჩატარდა და დიდი ინტერესიც გამოიწვია.

„ქართული ღვინის კვირეული“ კახეთში გაგრძელდა. გურჯაანის ღვინის ფესტივალზე, რომელიც წელს პირველად ჩატარდა, წარმოდგენილი იყო როგორც ოჯახური, ასევე 50-ზე მეტი დიდი და მცირე მარნის მიერ წარმოებული ღვინო.

ღონისძიების სტუმრებს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილმა მიმართა და გურჯაანის ღვინის ფესტივალის დაფუძნება მიულოცა.

„ძალიან სასიხარულოა, რომ გურჯაანიც შემოუერთდა ღვინის კვირეულს. უკვე მეოთხე წელია საქართველოს მასშტაბით „ქართული ღვინის კვირეულს“ ვატარებთ. თავდაპირველად ჩავატარეთ ქართული ღვინის დღე, რომელმაც შემდგომში კვირეულის სახე მიიღო, რადგან მოსახლეობას, მევენახეებს, ღვინის დამფასებლებს აერთიანებთ სურვილი, რომ რთველის დასასრული, ეს შესანიშნავი პერიოდი, ყველამ ერთად იზეიმოს“, - განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის კულტურის ისტორიის პავილიონები, საშემოდგომო ნობათი, დამზადდა თათარა და ამოივლო ჩურჩხელები, სახალისო ვიქტორინაში გათამაშდა ღვინოები, გაიხსნა ქვევრი. ღონისძიებებში მონაწილეობა ადგილობრივმა ფოლკლორულმა გუნდებმა მიიღეს.

გურჯაანის შემდეგ, კვირეულმა კახეთის დედაქალაქში, თელავში, სახელწოდებით „თელავინო 2017“ გადაინაცვლა. ფესტივალზე დიდი და მცირე მარნების მიერ წარმოებული 100-მდე სხვადასხვა ტიპის, ფერისა და ასაკის ღვინო, ჭაჭა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელები იყო წარმოდგენილი.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ღონისძიების სტუმრებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი მიესალმნენ. მინისტრის მოადგილემ კახეთის რეგიონის მოსახლეობას 2017 წლის წარმატებული რთველი მიულოცა.

„ქართული ღვინის კვირეული“ აღინიშნა დედაქალაქშიც - „თბილისობის“ დღესასწაულზე. რიყის პარკში შემოდგომის ნობათის გამოფენა-გაყიდვა გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 15-მდე კომპანია.

„ქართული ღვინის კვირეული“ საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული „ქართული ღვინის მე-4 ეროვნული კონკურსით“ დასრულდა.

თბილისში, „ივენთ ჰოლში“ გამართულ საზეიმო ცერემონიაზე 14 კატეგორიაში გამოვლინდა გამარჯვებული ღვინოები - საუკეთესო წინანდალი, მუკუზანი, ხვაჭკარა, ქვევრის თეთრი ღვინო, ქვევრის წითელი ღვინო, საფერავი, უსახელოური, ჭაჭა.

კონკურსის პროფესიული ჟიურის წევრები ენოლოგები, სომელიეები და „სახალხო ჟიურის“ წევრები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები იყვნენ. პროფესიული ჟიურის თანათავმჯდომარეები იყვნენ ცნობილი ბრიტანელი ღვინის ექსპერტი, ჟურნალ „დეკანტერის” კონსულტანტ-რედაქტორი, საფრანგეთში ღვინის აკადემიის და ქრისტის (Christie’s) ღვინის კურსების დამფუძნებელი, ღვინის წიგნების ავტორი სტივენ სპურიე და შალვა ხეცურიანი, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი.

კონკურსის მხარდამჭერი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ღვინის ეროვნული სააგენტო.

ქართული ღვინის მე-4 ეროვნული კონკურსის საზეიმო დაჯილდოებაზე საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ დაწესებული „ქართული ღვინის ორდენის“ სამი კავალერი დასახელდა. ერთ-ერთი მფლობელი ღვინის ეროვნული სააგენტო გახდა „საქპატენტთან“ და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად ბორდოში გამოფენის „საქართველო - ღვინის აკვანი“ ორგანიზებისთვის. ორდენი გადაეცა ასევე სტივენ სპურიეს (ჟიურის თანათავმჯდომარეს) და „ახალი ღვინის ფესტივალს“, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს ღვინის კლუბია.

ღვინის კვირეულის ფარგლებში ღვინის ბარში „პოლოფონია“ დეგუსტაცია „Wine Feeling“ გაიმართა, ხოლო ღვინის მაღაზიაში „8 000 მოსავალი“, დოკუმენტური ფილმის ჩვენება მოეწყო.

# ქართული ღვინო - პოპულარიზაცია და მარკეტინგი

## ქართული ღვინო CHEERS WINES-ის მაღაზიების ქსელში გაიყიდება

ჩინეთის 22 მილიონიან დედაქალაქ პეკინში, იმპორტირებული ღვინის მაღაზიების ქსელის, CHEERS WINES, მაღაზიებში ქართული ღვინო პირველად გაიყიდება.

CHEERS WINES ერთი თვის განმავლობაში, ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, საკუთარი ქსელის 45 ღვინის მაღაზიაში მომხმარებლებისა და ღვინის მოყვარულთათვის უფასო დეგუსტაციებსა და პრეზენტაციებს გამართავს.

პეკინში მცხოვრები ადგილობრივი და უცხოელი მომხარებლისთვის ქართული ღვინის დაგემოვნება და შეძენა CHEERS WINES-ის ღვინის მაღაზიებში დღეიდან უკვე შესაძლებელია.

CHEERS WINES-ის ღვინის ექსპერტი, ღვინის ეროვნული სააგენტოს მოწვევით, საქართველოს 2016 წლის სექტემბერში სტუმრობდა.

CHEERS WINES-ის მაღაზიების ქსელი ჩინეთში 2008 წელს შეიქმნა და პეკინში დიდი პოპულარულობით სარგებლობს. მაღაზიათა ქსელი დაარსებულია შვეიცარიელი მამა-შვილის, ტიენი და კლაუდია მასუეგერების მიერ, რომელთა ოჯახი ღვინის ბიზნესს 1898 წლიდან ეწევა.

CHEERS WINES იმპორტირებული ღვინის გაყიდვასთან ერთად, ღვინის საგანმანათლებლო კურსებს ატარებს და მსურველებს ღვინის მოხმარებისა და სხვადასხვა ქვეყნის ღვინის კულტურებს აცნობს.

ჩინეთი ქართული ღვინის სტრატეგიულ საექსპორტო ბაზრად რჩება. 2017 წლის 8 თვის მონაცემებით, 5 მლნ-ზე მეტი ბოთლია ექსპორტირებული, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში ჩინეთი მეორე ადგილს იკავებს.

## ლევან დავითაშვილმა ჩინეთში ქართული ღვინის მუზეუმი გახსნა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წეჯიანგის პროვინციის ქალაქ იუს ცენტრში, მაღალი კლასის სასტუმროში „შანგრილა“ განთავსებული ქართული ღვინის მუზეუმი „სარკმელი საქართველოსკენ“ გახსნა. მუზეუმში ქართული ვაზისა და ღვინის კულტურისა და ისტორიის ამსახველი მასალა და ქართული ღვინის სხვადასხვა სახეობაა წარმოდგენილი.

„ქართული ღვინო გამორჩეულია თავისი უნიკალურობით. საქართველოში 18 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო იწარმოება. მისასალმებელია, რომ ჩინეთში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა იზრდება. იმედი გვაქვს, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები კიდევ უფრო აქტიური გახდება“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ქართული კულტურის მუზეუმი კომპანიის „სუოლუნი“ გენერალური დირექტორის, ი შიაო ჯუნისა და „სინგუან ჯგუფის“ ერთობლივი პროექტია. ი შიაო ჯუნი უკვე ორი წელია ჩინეთში ქართული ღვინის სახლების ქსელს ფლობს.

როგორც ბიზნესმენმა აღნიშნა, ქართული ღვინის მუზეუმის გახსნა ქართული ღვინის უნიკალურობამ, ქართული კულტურის მიმართ სიყვარულმა და პატივისცემამ გადააწყვეტინა.

ჩინელი ბიზნესმენი მომავალში ანალოგიური ტიპის ქართული ღვინის მუზეუმების გახსნას ჩინეთის დიდ ქალაქებში, შანხაისა და პეკინში, გეგმავს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ქართულ ღვინოს ჩინეთის ბაზარზე დამკვიდრების დიდი პოტენციალი გააჩნია.

## ქართული ღვინის მიმართ ინტერესი ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე მზარდია

ამერიკელი ღვინის პროფესიონალები საქართველოს ერთკვირიანი ვიზიტით ეწვივნენ. სტუმრებმა ღვინის კომპანიები და მარნები სამეგრელოში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში მოინახულეს, სადაც გაეცნენ ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებს, დააგემოვნეს ევროპული და ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინოები.

ვიზიტი ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით განხორციელდა.

ღვინის პროფესიონალების ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც სომელიეები, ღვინის მწერლები და იმპორტიორები შედიოდნენ, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანია „მარქ ენერჯის“ (Marq Energie) მმართველი ჯული პეტერსონი (Julie Peterson) ხელმძღვანელობდა.

ჯული პეტერსონი აცხადებს, რომ ქართული ღვინის მიმართ ინტერესი ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარზე მზარდია.

„როგორც იცით, ამერიკის ბაზარი სულ უფრო მეტად ინტერესდება ქართული ღვინით. ფაქტია, რომ ამ წელს ექსპორტი დაახლოებით 70%-ით გაიზარდა. სასიამოვნოა, რომ ამ უძველესი ტრადიციის მიმართ ამერიკაში მზარდი ინტერესია, არა მხოლოდ ტრადიციის, არამად იმ ღვინოების მიმართ, რომლებიც ამ ტრადიციით მზადდება. ვესტუმრეთ დასავლეთ საქართველოს, რადგან გვაინტერესებდა, რა ხდება იქ ღვინის სფეროში, ვინ არიან მწარმოებლები, რომელი განსხვავებული ყურძნის ჯიშებია, რით განსხვავდება აღმოსავლეთისგან დასავლეთის ღვინოები”, - აღნიშნა ჯული პეტერსონმა.

## დიდი ბრიტანელი ღვინის მაგისტრი სარა ებოტი (Sarah Abbott), ქართული ღვინით დაინტერესებულ ჟურნალისტებთან ერთად, საქართველოს ეწვია

ღვინის ტურის ფარგლებში, ბრიტანელი პროფესიონალები ღვინის მარნებსა და კომპანიებს კახეთში გაეცნენ. კახეთში გამგზავრებამდე, სარა ებოტი ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებს თბილისში შეხვდა. მან შეხვედრის მონაწილეებს დიდ ბრიტანეთში ღვინის საფასო პოლიტიკა, ღვინის შეფუთვასა და ხარისხთან დაკავშირებული საკითხები გააცნო, რაც ქართული ღვინის ამ ბაზარზე დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის განცხადებით, ქართული ღვინის მწარმოებლებთან თანმიმდევრული და მიზანმიმართული თანამშრომლობით, შესაძლებელია ინგლისში ქართული ღვინის ექსპორტის მზარდი ტენდენციის შექმნა.

„საქართველოს დიდი ბრიტანეთის ღვინის პროფესიონალების ჯგუფი სტუმრობდა. ეს ვიზიტი გამორჩეულია, რადგან დიდი ბრიტანეთი ქართული ღვინისთვის გამორჩეული ბაზარია. ამ ბაზარზე შესვლა და დამკვიდრება ქართული ღვინისთვის პრიორიტეტია. ამ ჯგუფის წვერები ვიზიტის შემდეგ დაწერენ და ინფორმაციას გაავრცელებენ ქართული ღვინის კულტურის შესახებ, რაც კიდევ უფრო დაეხმარება დიდ ბრიტანეთში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას“ - აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

„ჩვენ მართლაც ფანტასტიკური და ამაღელვებელი მოგზაურობა გვქონდა. გვინდოდა, ვიზიტორებისთვის ქართული ღვინო ყველა ასპექტში გვეჩვენებინა, მისი განვითარება, არსებობა და პოტენციალი. ჩვენ შევხვდით ღვინის მცირე მეწარმეებს, რომლებიც ვენახებსა და ქვევრებთან მუშაობდნენ, ასევე ვნახეთ შედარებით დიდი ღვინის საწარმოები, სადაც საერთაშორისო სტანდარტის ქართული ღვინოები მზადდება, ვიხილეთ გამოცდილი მწარმოებლებიც და შედარებით ახალგაზრდებიც. ყოველივე ეს ჩვენთვის და ბრიტანეთის ბაზრისთვის ძალიან საინტერესოა. მე მინდოდა მათთვის მეჩვენებინა ქართული ღვინოების მრავალფეროვნება, რათა ეგრძნოთ მისი ენერგია, რადგან მე ვფიქრობ, რომ ქართული ღვინო ყველაზე ამაღელვებელია მთელს მსოფლიოში“ - აღნიშნა სარა ებოტმა.

ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ღვინის მწერლები - Miles Willis, Martin Lam, David Williams, Emma Diggory, Kate Clarke, Madeleine Waters.

## ჰოლანდიელი სომელიეების ვიზიტი

საქართველოს ჰოლანდიელი სომელიეების ჯგუფი სტუმრობდა, რომლის წევრების შეფასებით, ქართულ ღვინოს ჰოლანდიის ბაზარზე ექსპორტის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ჰოლანდიელმა სტუმრებმა ღვინის კომპანიები თბილისში, ქვემო ქართლსა და კახეთში მოინახულეს.

ჰოლანდიის წლის საუკეთესო სომელიეს, ნილს ვან ოვერმეიერის (Niels Van Overmeire) შეფასებით, ქართული ღვინის ექსპორტს ჰოლანდიის ბაზარზე რამდენიმე კომპანია უკვე აწარმოებს, თუმცა პოტენციალი უფრო დიდია.

„მე ვფიქრობ ქართულ ღვინოებს დიდი მომავალი აქვს. ქართველებმა უნდა გააგრძელონ ღვინის კეთება. აქ სხვადასხვა სტილის ღვინოებია, არის მცირე და დიდი საწარმოები. მწარმოებლები მუშაობენ სუფთა ხარისხიანი ღვინის მისაღებად“, - აღნიშნა ნილს ვან ოვერმეიერმა.

ჰოლანდიელ სომელიეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ შემდეგი კომპანიების ღვინოებს: „ერისთავის ქვევრის ღვინო“, „ბოლნური“, „გოცას ღვინო“, „თბილღვინო“, „შუხმანის ღვინოები“, „თელავის ღვინის მარანი“, „ფაფარი ველი“, „ხოხბის ცრემლები“ და „მოსმიერი“.

ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 2017 წელს ხელშეკრულება გააფორმა ღვინის იმპორტიორ კომპანიასთან „Saperavi Wine Agency“, რომელიც ჰოლანდიაში ქართული ღვინის იმპორტს ახორციელებს და სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებას მართავს.

„Saperavi Wine Agency“-ის ორგანიზებით, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია მიმდინარე წლის ივლისში ამსტერდამში გაიმართა. სწორედ ამ ღონისძიების შემდეგ გადაწყდა საქართველოში ჰოლანდიელ სომელიეთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის წევრებიც ჰოლანდიის სომელიეთა გილდიამ შეარჩია.

## კოოპერატივის წევრებს საშუალება ეძლევათ სარგებელი ყურძნის რეალიზაციის გარდა, უკვე ღვინის რეალიზაციიდან მიიღონ

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კახეთის რეგიონში, თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში ყურძნის გადამამუშავებელი 3 კოოპერაციული საწარმო გაიხსნა.

სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში „შატო აკურა“, „საბა“ და „გავაზის საუკეთესო ვენახები“ გაერთიანებულია ჯამში 60 -ზე მეტი მეპაიე, ხოლო კოოპერატივებში მობილიზებული ვენახი 70 ჰა-ზე მეტს შეადგენს.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე კოოპერატივებიდან თითოეულმა 100 ტონა ყურძნის პირველადი გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა მიიღო. კოოპერატივმა კი საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება უზრუნველყო.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი მიშელაძის განცხადებით, სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობით კოოპერატივის წევრებს საშუალება ეძლევათ სარგებელი ყურძნის რეალიზაციის გარდა, უკვე ღვინის რეალიზაციიდან მიიღონ.

სასოფლო-სამეურნეო აკოოპერატივს „საბა“ 2014 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა. კოოპერატივი ყვარლის მუნიციპლიტეტის სოფელ გავაზში მდებარეობს. ის მრავალდარგოვანი კოოპერატივია და საქმიანობს როგორც მეხილეობის, ასევე მევენახეობის მიმართულებით, მასში 22 მეპაიეა გაერთიანებული.

„პროექტით ნამდვილად ბევრ სიკეთეს ვიღებთ, შენობას ჩვენ ვაშენებთ, მაგრამ ტექნოლოგიურ დანადგარებს სახელმწიფო გვაძლევს. ეს დიდი შეღავათია ჩვენთვის. რომ არა ეს პროექტი, ჩვენ არც ვიფიქრებდით ქარხნის მშენებლობაზე. გვინდა წარმატებით დავასრულეთ მშენებლობა და წარმოების გაფართოებაზეც ვფიქრობთ“, - აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „საბა“ თავმჯდომარე ისაბალ სოლოღაშვილი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „შატო აკურა“ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურაში 2017 წელს დარეგისტრდა. მათი ძირითადი საქმიანობა მევენახეობაა. „პროექტი მოგვეწონა გავერთიანდით 20 მეპაიე, ყველამ თავის წილი ყურძენი მოიტანა, ერთად დავწურეთ... ჩვენთვის ეს პროექტი პერსპექტივაა, ჩვენი ღვინო გახდეს კონკურენტული და ჩვენმა თითოეულმა მეპაიემ მოგება ნახოს“, - აცხადებს გიორგი ქევხიშვილი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „შატო აკურა“ დირექტორი.

კოოპერატივს „გავაზის საუკეთესო ვენახები“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი 2016 წლის აგვისტოში მიენიჭა. კოოპერატივი ყვარელის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში საქმიანობს და მისი ძირითადი საქმიანობა მევენახეობაა.

„მევენახეობის მიმართულებით კოოპერატივი გასულ წელს დავარეგისტრირეთ; რამდენიმე მსხვილი მევენახე გავერთიანდით. წელს გაზაფხულზე მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის შესახებ შევიტყვეთ. დავაკმაყოფილეთ პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმები და ჩავერთეთ პროგრაში. იყო გარკვეული პრობლემები, თუმცა, პროექტში ჩართულობით შესაძლებლობა გვეძლევა, სარგებელი არამხოლოდ ყურძნიდან, არამედ უკვე ღვინიდან მივიღოთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“, - აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „გავაზის საუკეთესო ვენახები“ თავმჯდომარე მიხეილ ალხანიშვილი.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კოოპერატივებს ჩაუტარდებათ სწავლება როგორც ღვინის საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებზე.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია მიმდინარე წლის მარტში გამოცხადდა. მონაწილეობისათვის დადგენილი პირობების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მეპაიეს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, ან/და მის მეპაიეებს საკუთრებაში უნდა გააჩნდეთ არანაკლებ 20 ჰექტარი ვენახი, რომელშიც გაშენებული უნდა იყოს ვაზის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ხიხვი, ქისი, ჩინური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური, უსახელოური, მუჯურეთული, წულუკიძის (რაჭული) თეთრა.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა მიმდინარე წელს საპილოტედ განხორციელდა. პროგრამის გაგრძელება მომდევნო წელსაც იგეგმება.

## „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამაში“ რეგისტრაცია გრძელდება

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამაში“ რეგისტრაცია 3 ნოემბრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე www.acda.gov.ge არის შესაძლებელი.

პროგრამის ფარგლებში, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად ახორციელებს, რაციონალურად და სწორად მოხდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების გამოყენება. ამ მიზნით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლების წევრთა რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 11 მეპაიეს და მფლობელობაში გააჩნია არანაკლებ 200 სული ფური ან/და დეკეული, იჯარით გადაეცემათ სათიბ-საძოვრები და შესაბამისი აღჭურვილობა - ტრაქტორები, სათიბები, ასევე სხვა საჭირო ინვენტარი. კოოპერატივებს გადაეცემა ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე სათიბი, არანაკლებ 0,5 და არაუმეტეს 2 ჰა, ხოლო, საძოვრის ფართობი ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 1 და არაუმეტეს 2 ჰა. პროგრამაში ჩართული კოოპერატივები ასევე მიიღებენ ტრაქტორს, გუთანს, როტაციულ და სეგმენტურ სათიბელას, ფოცხს, მოთიბული მასის დამწნეხსა და მისაბმელს ტვირთის ტრანსპორტირებისათვის.

პროგრამა მოიცავს 29 მუნიციპალიტეტის - წალკის, თეთრიწყაროს, დმანისის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის, მცხეთის, ყაზბეგის, თიანეთის, დუშეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, საგარეჯოს, ახმეტის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, წყალტუბოს, ჩოხატაურის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ხულოს - იმ დასახლებებს, რომლებზედაც ვრცელდება „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილება.

დაგეგმილია დუშეთის მუნიციპალიტეტში, უკანაფშავის ადმინისტრაციულ ერთეულში რძის გადამამუშავებელი საწარმოს აშენება.

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენება“ კიდევ ერთი სახელმწიფო პროგრამაა, რომელმაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს და მათთვის კეთილდღეობის შექმნას შეუწყოს ხელი.

# წარმატების ისტორიები

## გორში ახალი საწარმო გაიხსნა

ლევან დავითაშვილმა გორის რაიონში „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში დაფინანსებული ხორცისა და თევზის გადამამუშავებელი ახალი საწარმოს, შპს „ბატონო“ გახსნის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

შპს „ბატონო“ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმოა, სადაც 30 ადამიანია დასაქმებული და წლიურად 300 ტონა სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქცია იწარმოება.

საწარმოში ჯამურად 459,833 აშშ დოლარი ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 183,933 აშშ დოლარი გრანტია, ხოლო 229,917 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის.

## პირველი მოსავალი პროგრამის “დანერგე მომავალი” ფარგლებში

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, შიდა ქართლის გუბერნატორთან კახა სამხარაძესთან ერთად, პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, შიდა ქართლში გაშენებულ ბაღებში პირველი მოსავლის აღებაში მიიღო მონაწილეობა.

შპს „ქართულმა ბაღმა“, პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, ახალი ხეხილის ბაღი 2015 წელს გააშენა. კომპანიამ 10 ჰექტარზე ვაშლის ბაღის გაშენებისათვის და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის 98,730 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო, საიდანაც 80,080 ლარი ნერგებისთვის, ხოლო 18,650 ლარი წვეთოვანი სისტემის მოწყობისთვის იყო განკუთვნილი.

კომპანიამ კუთვნილ ფართობზე 4 სხვადასხვა ჯიშის ბაღი გააშენა და წელს პირველი მოსავლის სახით 15 ტონა ვაშლს ელოდება.

## სატელეკომუნიკაციო ბიზნესიდან მეჩაიეობამდე

წარმოშობით ხევსური ბერდია ელგუჯაური ოთხი თაობის თბილისელია, თუმცა ცხოვრების ნახევარზე მეტი, 30 წელი, გურიაში აქვს გატარებული. პროფესიით მშენებელმა, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გურიაში მინერალური წყლების საწარმოს მშენებლობაში მიიღო მონაწილეობა. გასული საუკუნის 90 წლებში სატელეკომუნიკაციო ბიზნესშიც სცადა ბედი და არცთუ წარუმატებლად, ოზურგეთში „იბერვიზიის“ პარტნიორი „ახალგაზრდული საკაბელო ტელევიზია“ დააარსა. იმავე პერიოდში ბერდია ელგუჯაური დაინტერესდა ჩაის კულტურით. ეს ის პერიოდია, როდესაც მეჩაიეობის დარგი საქართველოში მძიმე მდგომარეობაშია. დღეს, ბატონი ბერდია ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში არსებული ქართული ბრენდული ჩაის კომპანიის, შ.პ.ს. „ნატურა თი კომპანი“ ერთ-ერთი მესაკუთრეა. საწარმო ექსპლუატაციაში 2013 შევიდა წელს. საწარმოს მოდერნიზაციის მიზნით, ბერდია ელგუჯაურმა 2014 წელს შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში ისარგებლა აგროლიზინგით და პროექტის პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციიდან, ხელსაყრელი პირობებით, მიიღო კრედიტი, რითაც მოახდინა საწარმოს გადაიარაღება თანამედროვე ტექნიკა-დანადგარებით. ჯამში ფერმერს და მის პარტნიორებს საწარმოში ინვესტირებული აქვთ 260 000 აშშ დოლარი, აქედან აგროკრედიტი 60,000 აშშ დოლარია. დღეს კომპანიის მფლობელობაშია 22 ჰა ჩაის პლანტაცია. საწარმო წლიურად 100 ტონამდე ნედლეულის გადამუშავებას ახორციელებს, ნაწილს საკუთარი პლანტაციებიდან იღებს, ნაწილს კი, ადგილობრივი ფერმერებისგან იბარებს და 25 ტონა უმაღლესი ხარისხის მზა პროდუქციას ამზადებს. ფერმერი ამაყობს, რომ საწარმო პირველია რეგიონში, რომელიც ჩაის კულტურის მოყვანასა და გადამუშავებაში ევროპული სტანდარტის ISO სერტიფიკატს ფლობს. საწარმოში 20 ადგილობრივი მაცხოვრებელია დასაქმებულია, სეზონზე კი (აპრილი,ოქტომბერი), 40 ადამიანი ემატება. ამ ეტეპზე „ნატურა თი კომპანის“ პროდუქცია მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე იყიდება, თუმცა, ირლანდიაში, იტალიაში, პოლონეთსა და ჩეხეთში გაგზავნილმა ქართული ჩაის სინჯებმა დიდი მოწონება დაიმსახურა და „ნატურა თი კომპანის“ ნაწარმი მოკლე ხანში ექსპორტზეც გავა. ბერდია ელგუჯაურს სურვილი აქვს, რომ უახლოეს მომავალში „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამით“ დამატებით კიდევ რამდენიმე ჰექტარზე გააშენოს პლანტაცია; შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში კი, ხილის გადამამუშავებელი საწარმო ააშენოს და ბაზარზე იმპორტირებული ჩირი და ხილის გადამუშავებული პროდუქტები ადგილობრივი ქართული ნაწარმით ჩაანაცვლოს.

## სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შემქნილი ახალი მეფრინველეობის ფერმა

მეფრინველეობა, კვერცხის წარმოება ერთ-ერთი წარმატებული დარგია ქვეყანაში, რომელიც ქართულ ბაზარის მოთხოვნას თითქმის 100% აკმაყოფილებს. ამ მიმართულებით, ბაზარზე ოპერირებს რამდენიმე წარმატებული კომპანია, მათ შორისაა „ახალი ქართული პროდუქტი“, რომლის ნაწარმი ბაზარზე „ალიონის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

საწარმო 2016 წელს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში გაიხსნა. გახსნის დღიდან, საწარმოს დირექტორია ზვიად ჯოხაძე. პროფესიით ეკონომისტი, მრავალი წელი საბანკო სექტორში მუშაობდა. სოფლის მეურნეობაში ჩაბმამ ფერმერი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. თვლის, რომ ეს ის დარგია, რომელიც მუდმივ განვითარებასა და სიახლეების დანერგვას მოითხოვს.

ზვიად ჯოხაძე, ყოველდღიურად, საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით, ადგილობრივ ბაზარს 9000 კვერცხით ამარაგებდა. თუმცა, შეღავათიანი აგროკრედიტის გამოყენებით 10000 ქათმიდან სულადობა 20000-მდე გაზარდა და, შესაბამისად, კვერცხის წარმოებაც გაორმაგა. დღეის მდგომარეობით, მეფრინველეობის ფერმაში სრულად ინვესტირებულია 260000 აშშ დოლარი, აქედან, საწარმომ 160000 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიიღო. აღნიშნული თანხით განხორციელდა ფერმის გადაიარაღება. აშენდა სასაწყობე და სამაცივრე ფართები, ასევე, ახალი წიწილების გამოსაზრდელი ფერმა. ზვიად ჯოხაძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოსგან გვერდში დგომამ დამატებითი სტიმული მისცა გაეფართოებინათ საქმიანობა. ფერმაში წარმოებული კვერცხი ბიოლოგიურად სუფთა და გემოვნური თვისებებით გამორჩეულია, რასაც ის გარემოებები განაპირობებს, რომ ფრინველის საკვებად ძირითადად იყენებენ ბუნებრივ ნედლეულს: სიმინდს, ხორბალს, სოიოს, მზესუმზირას და მინიმალური ოდენობით პრემიქს. საწარმოში მუდმივად 17 ადგილობრივი მაცხოვრებელია დასაქმებული, საჭიროების შემთხვევაში, კიდევ 15 ადამიანის დასაქმება ხდება. სამომავლოდ „ალიონი“ მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტის შეთავაზებას აპირებს. იგეგმება ფრინველის ხორცის წარმოება, და ამ კუთხით სამუშაოები უკვე დაწყებულია, ზვიად ჯოხაძეს გეგმაში აქვს მეცხოველეობის ფერმის აშენებაც. იმედოვნებს, რომ ახალი წამოწყების დასაფინანსებლად ისევ აგროკრედიტის პროექტით შეძლებს დამატებითი ინვესტიციის მიღებას.

# კივის აგროტექნოლოგია

სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გარემოსდაცვის გლობალური ფონდის (GEF) მხარდაჭერით ახორციელებს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრებზე წვდომის და მოქნილობის (AMAMAR) პროექტს. პროექტის ფარგლებში ხორციელდება შერჩეული სასაქონლო ჯაჭვების გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა შემდეგი ინტერვენციების მეშვეობით: დიდი და მცირე გრანტების სქემა (დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ პროექტების მართვის სააგენტოს www.apma.ge; ტელ: +995 032 2 47 0101/ 1501), ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, სადემონსტრაციო ნაკვეთები და ტრენინგები, ლანდშაფტის აღდგენითი სამუშაოები, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.
ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ სადემონსტრაციო ნაკვეთების და ტრენინგების ქვეკომპონენტის ფარგლებში შექმნილ სატრენინგო მასალებს პროექტის ფარგლებში შერჩეული კულტურებისთვის.

### ბოტანიკური დახასიათება

კივი ველური სახით გავრცელებულია ჩინეთში. მისი სელექცია და კულტურაში შეტანა განხორციელდა მე-20 საუკუნის დასაწყისში ახალ ზელანდიასა და ევროპაში. კივი - ფოთოლმცვენი, ბუჩქისებური ლიანაა. იგი ორბინიანი მცენარეა. ახალგაზრდა მოზვერა ლერწები ინტენსიური ზრდით ხასიათდებიან, ერთწლიანი ნაზარდები 5-6 მეტრამდეც აღწევენ. ფესვთა სისტემა მთავარღერძაა. ჟანგბადის ჭარბი მოთხოვნილების გამო ახასიათებს ფესვების ზედაპირული განლაგება. ფოთოლი გულისმაგვარი ფორმისაა, საკმაოდ გრძელი ყუნწით, ფართო, გლუვი, ტყავისებური, მუქი მწვანე შეფერილობისაა.

კივის კომერციული ჯიშებიდან მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია „ჰაივარდი“, „ბრუნო“ და „მონტი“. მათ შორის ჰაივარდი ხასიათდება მსხვილი ნაყოფით, ნაყოფის ერთგვაროვნებით და უხვმოსავლიანობით. მსხმოიარობაში შედის მე-3-4 წელს. ნაყოფი უკეთ ინახება ხილსაცავში ან მაცივარში. მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობა 45-50 წლით განისაზღვრება. საშუალო მოსავლიანობა 15-20 ტ. ჰექტარზე.

კივი მრავლდება, როგორც თესლით ასე ვეგეტატიურად. თესლით გამრავლება ძირითადად სელექციური მიზნებისათვის გამოიყენება. სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად გამოიყენება მხოლოდ კალმების დაფესვიანებით ან მყნობით მიღებული სტანდარტული ნერგები. კალმების დაფესვიანებას აწარმოებენ ადრე გაზაფხულზე. სანაყოფე ტოტების დაკალმებით. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაფესვიანება იზრდება 80-90%-მდე. დაფესვიანება ხდება სუბსტრატით შევსებულ პოლიეთილენის პარკებში, 2 წლის შემდეგ მიიღება სტანდარტული ნერგი.

მყნობით გამრავლებისას საძირედ იყენებენ იგივე მცენარის 2 წლიან ნათესარებს, რომლებზედაც კვირტის მყნობით ამრავლებენ მათთვის სასურველ ჯიშს.

ეკოლოგიურ ფაქტორებს შორის ნიადაგს მცენარისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კივი კარგად ვითარდება სილნარ, წითელმიწა, ეწერ, ეწერმიწა და ალუვიური ტიპის ნიადაგებზე. კარბონატულ ნიადაგებზე კივის განვითარება სუსტდება, ის ვერ ეგუება ტუტე რეაქციას, მისთვის მისაღებია ნიადაგის მჟავიანობის მაჩვენებელი pH-4-დან 6- მდე.

### პლანტაციის გაშენება

ნიადაგის შერჩევა. კივის გასაშენებლად სასურველია შეირჩეს ქარებისგან დაცული ადგილი. ნიადაგს უნდა ჰქონდეს კარგი დრენირების უნარი და ასევე 1-1,5 მეტრის სიღრმეზე თავისუფალი უნდა იყოს გრუნტის წყლის სიახლოვისაგან. ნიადაგის არის რეაქცია (pH) სასურველია იყოს 5.5-6.0 ფარგლებში მაქსიმალური მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად, 7.2 მაღალი რეაქცია ამცირებს მცენარის მიერ მიკროელემენტების შეთვისების უნარს რაც მოქმედებს მცენარის მოსავლიანობაზე უარყოფითად. გასაშენებლად ვარგისია მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის სუსტი მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის ნიადაგები.

ნიადაგის წინასწარი შერჩევისა და ზედაპირული გასუფთავების შემდეგ ხვნას აწარმოებენ პლანტაჟური წესით 50-60 სმ სიღრმეზე. ხვნის წინ სასურველია ნიადაგში შევიტანოთ მინერალური და ორგანული ნივთიერებები: 500 კგ. ფოსფორი, 200 კგ. კალიუმი ასევე შესაძლებელია ორგანული სასუქის შეტანა 80-100 ტონა ნაკელი ჰექტარზე გაანგარიშებით. დამუშავებას აწარმოებენ შემოდგომაზე. პირველადი დამუ-შავების შემდეგ ხდება ნიადაგის დადისკვა და მოსწორება. გრუნტის წყლებისა და მოსული ატმოსფერული ნალექების ნაკვეთიდან გაყვანის მზინით ეწყობა სადრენაჟო ქსელები არსებული წესების მიხედვით.

### საყრდენი სისტემა

კივი მრავალწლიანი ხვიარა მცენარეა, რომელსაც შეუძლია თავისი პროდუქტიულობა შეინარჩუნოს 40-50 წლის განმავლობაში. კივისათვის აუცილებელია მყარი საყრდენი — 1.8 – 2.0 მ-იანი რკინის, რკინაბეტონის ან ხის ბოძი. იმის გამო, რომ აქტინიდია ორბინიანი მცენარეა, ყოველ 7-8 მდედრობით ფორმაზე რგავენ ერთ მამრობით ფორმას, ტენიანი რეგიონებისათვის უფრო რეკომენდებულია T-ს მაგვარი და ჰორიზონტალურ-შპალერული საყრდენების მოწყობა. აღნიშნული ტიპის საყრდენებზე ვარჯი ორმხრივ განათებული და აერაციით უზრუნველყოფილია. საყრდენი ბოძების სიმაღლე ნიადაგის ზედაპირიდან სასურველია იყოს 1.8 მეტრი, საყრდენ ბოძებს შორის მანძილი სასურველია იყოს 6 მეტრი. საყრდენის ბოძების ჰორიზონტალურად მაგრდება 2,0 მ. სიგრძის რკისის ან ხის შველერი, რომლის წვეროებზე და ცენტრალურ ნაწილში მთელ სიგრძეზე იჭიმება 2-2,5 მმ. დიამეტრის მოთუთიებული მავთული. სრულ მოსავლიანი მცენარის ვარჯის სანაყოფე ტოტები ყოველწლიურად მაგრდება მავთულებზე.




### დარგვის სქემა და დამტვერვა

დარგვის სქემებია 6მX5მ, 4.5მX4.5მ, 4მX5მ. ჰექტარზე მცენარეთა რაოდენობა 300-500 ფარგლებში მერყეობს. კივის პლანტაციის დამტვერვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია რომ კივის პლანტაციებში მდედრი და მამრი მცენარეების ფარდობა იყოს 8/1 მდედრი მცენარეების სასარგებლოდ, ასევე რეკომენდირებულია პლანტაციასთან ფუტკრის ოჯახების განთავსება 8 ფუტკრის ოჯახის ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით.




### კივის გასხვლა-ფორმირება

კივის პლანტაციიდან სტაბილური და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად, სხვა აგროტექნიკურ საშუალებებთან ერთად, აუცილებელი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა სხვლა.

კივის გასხვლა ყოველწლიურად ისევე სავალდებულოა, როგორც ვაზისა და სხვა სასოფლო- სამეურნეო კულტურებისა. გასხვლა ფრიად საპასუხისმგებლო პროცესია ფერმერისათვის და ის სწორ მიდგომას საჭიროებს. პირველ რიგში მებაღემ, როცა ის ხესთან მიდის გასასხლავად, გულდასმით უნდა დაათვალიეროს მცენარე, მონიშნოს ზედმეტი ტოტები და წამონაზარდები, რომლებიც აუცილებლად შეჭრას მოითხოვენ. მებაღე უნდა ეცადოს, კივს მისცეს ნორმალური განათება და აერაცია, ამიტომ საჭიროა მოჭრას ის ტოტები, რომლებიც ზღუდავენ ხის ნორმალურ განათებას და აერაციას. მსხვილი ტოტების გამოჭრისას, რაც ბაღის ხერხით სრულდება, უნდა გვახსოვდეს; ტოტი ჯერ ქვემოდან გამოვხერხოთ, ხოლო შემდეგ მაღლიდან, რათა თავიდან ავიცილოთ მისი ჩახლეჩვა. სასურველია, მსხვილი ტოტების გადაჭრისას მათ წაესვას ბაღის მალამო.

კივის გასხვლა, კულტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მკვეთრად განსხვავდება სხვა კულტურული მცენარეების გასხვლის მეთოდებისაგან . ეს თავისებურებები მდგომარეობს შემდეგში:

კივი სხვა ხეხილოვნებისაგან (ვაშლი, მსხალი, ატამი და სხვა) განსხვავებით საჭიროებს საყრდენს.

კივის, ვაზისაგან განსხვავებით, არ გააჩნია ჭიგოზე დასამაგრებლად ე.წ ულვაში, ის ხვიარა მცენარეა და ნაზარდები სუბსტრატზე ბუნებრივ პირობებში დახვევით მაგრდება

კივი ძლიერ სწრაფმზარდი მცენარეა (ერთწლიანმა ამონაყარმა შეიძლება 4-5 მეტრს მიაღწიოს) რაც დამატებით საზაფხულო სხვლას საჭიროებს.

კივის ერთწლიანი (მოსავლის მომცემი) ამონაყარები, განსხვავებით სხვა კულტურული მცენარეებისა, კვირტების გაღვიძების თავისებურებით გამოირჩევა (შინაარსი იხ. ქვემოთ).

ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებების და ფერმერის მიერ შერჩეული საყრდენებით სხვადასხვა ფორმის (ჰორიზო-ნტალური, ვერტიკალური, ინდივიდუალური) პლანტაციის მისაღებად გასხვლაც შესაბამისი ფორმით უნდა ჩატარდეს.

გასხვლა პირობითად იყოფა ორ ნაწილად:

* ახალგაზრდა პლანტაციის გასხვლა-ფორმირება.
* მოსავლიანი პლანტაციის გასხვლა.

### ახალგაზრდა კივის გასხვლა

ახალგაზრდა კივის გასხვლა-ფორმირება იწყება ნერგის ძირითად ადგილზე დარგვისთანავე. კივის ნერგის პირველი გასხვლა წარმოებს ერთწლიანი ამონაყარის 2-3 კვირტზე, რომელსაც უკეთდება ინდივიდუალური საყრდენი ჭიგო და ვეგეტაციის პერიოდში ყოველ 20-25სმ -ის ინტერვალით მაგრდება მასზე. ძირითადად ვარჯისათვის ვტოვებთ ერთ, იშვიათად ორ ამონაყარს. თუ მცენარე გაშენებულია კარგად განოყიერებულ, დრენაჟირებულ ნიადაგზე, ამონაყარი სწრაფი ტემპით ვითარდება და შეუძლია ვარჯისათვის საჭირო სიმაღლეს მიაღწიოს პირველ სავეგეტაციო წელსვე. იმ შემთხვევაში თუ სარგავი მასალა (ნერგი) სუსტია, ან ნიადაგი ვერ უზრუნველყოფს მის ნორმალურ განვითარებას, ამონაყარი იწყებს ვეგეტაციის შენელებას, რაც გამოიხატება ნაზარდი ღეროს დიამეტრის შემცირებით და ის იწყებს სწრაფვას ჭიგოზე დასახვევად. ამ შემთხვევაში ვახდენთ კენწერული ნაზარდის გადაჭრას პირველსავე ნახვევთან, რათა ხელოვნურად შევწყვიტოთ ზრდა. ამ დროს ღეროზე დარჩენილ ფოთლებს მიეწოდება ასიმილაციისათვის მეტი საკვები, რის ხარჯზეც ძლიერდება ფესვთა სიტემა, რომელმაც გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა უზრუნველყოს გადაჭრილ ნაწილზე ახლადწარმოქმნილი კვირტის სრულფასოვანი კვება.

ვარჯის სიმაღღე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფორმის საყრდენზე ხდება კივის განთავსება.

ვერტიკალურ შპალერზე გაშენების შემთხვევაში ვარჯის სიმაღლე ტოლია შპალერზე განთავსებული ქვედა იარუსის მავთულის სიმაღლისა ნიადაგის ვაკისიდან.

ჰორიზონტალური საყრდენის დროს, შტამბის სიმაღლე

# კივის აგროტექნოლოგია

საყრდენი ბოძების ეკვივალენტია, ასევე ხდება ინდივიდუალური საყრდენების შემთხვევაშიც.

ნერგის აკვრა სინთეზური მასალით დაუშვებელია, რადგანაც ქარიან ამინდში შესაძლებელია კამბიალური ქსოვილის მექანიკური დაზიანება. ასაკრავად რეკომენდირებულია ბამბის ქსოვილის ან ბუნებრივი სხვა მასალის (ახალზელანდიური სელი, დრაცენა, აკაციის კანი და სხვა) გამოყენება. ვარჯის სასურველ ზომამდე დაფიქსირების შემდეგ, რომელიც ძირითადად ემთხვევა ვეგეტაციის მეორე წელს, იწყება გვერდითი ტოტების ჩამოყალიბება. ვერტიკალური საყრდენის შემთხვევაში ხდება შტამბის გადაკვეთა პირველი იარუსის მავთულთან (70-80სმ). მეორე თაობის ამონაყრებიდან ერთს მივმართავთ ზედა იარუსის საყრდენზე, ორს კი- ქვედა მავთულის მარჯვნა და მარცხენა მხარესს. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ საყრდენი სრულად არ დაიფარება მოსავლის მომცემი ტოტებით.

### მოსავლიანი პლანტაციის გასხვლა

მოსალიან პლანტაციას ფერმერები თეორიული ცოდნის სიმწირის გამო საკუთარი შეხედულებებით სხლავენ, რაც უარყოფითად აისახება მოსავალსა და ხარისხზე. სხვადასხვა ჯიშის კივი გასხვლის თავისებურ მიდგომას საჭიროებს, ასე, მაგ, თუ „მონტის“ ჯიშის ერთწლიანი ნაზარდის ფუძის კვირტებზეც კი საყვავილეებია ჩასახული, „ჰეივარდის“ ჯიშის ისეთივე ნაყარის ქვედა 3-4 ამონაყარზე საყვავილე კვირტები არ ყალიბდება.

ვაზისაგან განსხვავებით, რომლის ერთწლიანი ნაყარის ყველა კვირტი მოქმედია, კივის ერთწლიან ნაყარზე არსებული კვირტების მხოლოდ 55-60% იღვიძებს , დანაჩენი კი სათადარიგო მოვალეობას ასრულებს, თუ გაზაფხულის წაყინვამ დააზიანა ნორჩი ყლორტები, მხოლოდ მაშინ იწყებენ ისინი ვეგეტაციას, იმ განსხვავებით რომ მათში საყვავილე კვირტები არ არის ჩასახული, აქედან გამომდინარე ტოტზე ვტოვებთ იმაზე 2-ჯერ მეტი კვირტის რაოდენობას, რაც გათვალისწინებული გვაქვს მოსავლის მოსაცემად.

კივის პლანტაციაში - გარდა საშემოდგომო -საგაზაფხულო სხვლისა, ტარდება ზაფხულის გასხვლაც (ივნის-ივლისში). ძირითადი გასხვლა ტარდება, როცა მცენარე ისვენებს, ამ დროს ყველა სუსტი და მოსავალმონაცემი ტოტების გამოჭრა ხდება, მცენარეზე რჩება ერთწლიანი, ძლიერი ნაზარდების მქონე ტოტები 12-დან 20-მდე კვირტით, ტოტების რაოდენობა ფერმერმა უნდა შეარჩიოს მცენარის განვითარების (სიძლიერის) განათების, ფერდობის დახრილობის, წინა წლების გამოცდილებისა და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით.

ზაფხულის გასხვლა ტარდება ძირითადად ივნის-ივლისის თვეში. კივი, თავისი ბიოლოგიიდან გამომდინარე, როგორც აღვნიშნეთ, ხვიარა მცენარეთა ჯგუფს მიეკუთვნება, ამიტომ, ნაზარდები ერთმანეთში რომ არ გადაიხლართონ, მათ კენწეროები უნდა წავაწყვიტოთ (პინცირება), რაც ასევე ხელს უწყობს მცენარის აერაციას და ვეგეტაციური ნაწილების ზრდის შენელების ხარჯზე ნაყოფში სამარაგო ნივთიერებების გაძლიერებულ გადადენას, რაც დადებითად აისახება პროდუქციის ხარისხზე.

### წვეთოვანი მორწყვა

მცენარეების წვეთოვანი მორწყვის იდეა დაიბადა იქ, სადაც იყო სარწყავი წყლის დეფიციტი; სწორედ ამ მეთოდმა გადააქცია მანამდე უდაბური მიწები სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგად.

დღეისათვის კი წვეთოვანი მორწყვა ირიგაციის ყველაზე საუკეთესო მეთოდადაა მიჩნეული.

მიუხედავად იმისა, რომ კივის კულტურა საქართველოში ძირითადად გავრცელებულია ისეთ ზონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი), სადაც მოსული ნალექების წლიური ჯამი ბევრად სჭარბობს კივის კულტურის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო რაოდენობას, სარწყავი სისტემების გამოყენება აუცილებლობას წარმოადგენს, რადგანაც მოსული ნალექების უმეტესი ნაწილი კივის არასავეგეტაციო პერიოდს ემთხვევა.

მცენარისათვის მორწყვის ინტენსივობა და რაოდენობა განისაზღვრება მოსული ნალექების, ნიადაგის ტიპის, კულტურის ბიოლოგიური თავისებურებების შესაბამისად. მცენარეებს ტენი სჭირდება მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით. წყლის ნაკლებობა ან ჭარბი რაოდენობა იწვევს მცენარის ზრდის შეფერხებას ან კვდომას.

არასაკმარისი ტენიანობის პირობებში მცენარეს უფრო მეტად აზიანებენ მავნებლები (ბუგრები, რწყილები და სხვ.), ტენის პირობებში კი -სოკოვანი დაავადებები.

მორწყვა საქართველოში ძირითადად ხდება სარწყავ კვლებში წყლის მიშვების მეთოდით, იშვიათად დაწვიმების ან წვეთოვანი სისტემის.

წვეთოვანი მორწყვა ყველაზე ეფექტური საშუალებაა მცენარის მოსავლიანობისა და ნაყოფის ხარისხის გასაუმჯობესებლად. გარდა წყლის ეკონომიისა, მცირე დოზებით რწყვა გამორიცხავს სტრესს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს, როგორც ჭარბი ტენის მიწოდებამ, ისე წყლის ნაკლებობამ. ეს ხერხი საშუალებას იძლევა მცენარეს იმდენი წყალი მივაწოდოთ, რამდენიც მისი განვითარებისთვისაა საჭირო, ამასთანავე მოითხოვს ყველაზე დაბალ წნევას სხვა სარწყავ სისტემებთან შედარებით.

წვეთოვანი მორწყვის საშუალებით შესაძლებელია მცენარე მოზომილად ვკვებოთ, საჭირო ელემენტები პირდაპირ - ფესვთან მივაწოდოთ, რაც ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა მცენარის სწორად განვითარებისათვის, ამასთანავე თავიდან ავიცილებთ საკვები ელემენტების დანაკარგებს, რაც მოსალოდნელია სხვა სახის რწყვის შემთხვევაში ამ ელემენტების ღრმა ფენებში გადაადგილებით, ან ზედაპირული გადარეცხვით. გარდა ზემოაღნიშნული უპირატესობისა, წვეთოვანი მორწყვა ფაქტობრივად მინიმუმამდე ამცირებს სოკოვანი დაავადებების გავრცელების ალბათობას, რადგან ის მხოლოდ ნიადაგს აწვდის საჭირო ტენს, ხოლო თვითონ მცენარე მშრალი რჩება. აქედან გამომდინარე, მცირდება დანახარჯები სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამრიგად წვეთოვანი მორწყვა მთელი თავისი დადებითი მხარეებით საუკეთესო საშუალებაა ფერმერებისათვის მოსავლის მნიშვნელოვნად გასაზრდელად და რისკების შესამცირებლად.

წვეთოვანი მორწყვის ერთადერთ უარყოფით მხარედ ითვლება ის დისკომფორტი, რაც სეზონის დასაწყისში ამ სარწყავი სისტემის გაშლას და სეზონის ბოლოს მის აკეცვას უკავშირდება.

### წვეთოვანი მორწყვის უპირატესობებია:

- წყლის ეკონომია
- დაავადებების რისკის შემცირება.
- ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნება.
- სასუქების მიწოდება დოზირებულად.
- დანაზოგი სასუქების შეძენაზე.
- ფერდობების მაქსიმალურად თანაბარი მორწყვა წნევის კომპენსირებადი წვეთოვანი მილების გამოყენებით.
- გარემოს, ნიადაგის დაცვა დაბინძურებისაგან, ეროზი-ისაგან.

დანაზოგი შრომითი დანახარჯების ანაზღაურებაზე, ხელს არ უწყობს რიგთაშორისებში სარეველების განვითარებას.

წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოსაწყობად საჭიროა პლანტაციის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებობდეს გამდინარე, არტეზიული ან წყლის მოწოდების ალტერნატიული საშუალება.

**წვეთოვანი სარწყავი სისტემის კომპონენტებია:**

- წყალშემკრები ავზი.
- წვეთოვანი მილები.
- წყლის საფილტრავი მოწყობილობა.
- მიმყვანი მილები.
- სატუმბავი სადგური.
- სასუქის შემრევი მექანიზმი.
- ავტომატური მართვის საშუალებები.
- სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობები (ფითინგები).

წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობაზე გაწეული ინვესტიცია ფერმერებს საკმაოდ მოკლე პერიოდში მოგებით აუნაზღაურდება.

### კივის განოყიერება

აზოტის, კალიუმის და და ფოსფორის შეტანა 3-1-2 პროპორციით უნდა ხდებოდეს. ახალ გაშენებულ პლანტაციაში შეიტანეთ 30 გრამი ძირზე 10/10/10 სასუქი, შეტანა უნდა მოხდეს 30 სმ-ის მოშორებით მცენარის ძირიდან. გაიმეროთ აღნიშნული პროცედურა 10 მმ სარწყავი წყლის მიწოდების ან ნალექის მოსვლის შემდეგ ივნისის შუა პერიოდამდე. მეორე წელს გაიმეორეთ იგივე პროცედურები მარტის დასაწყისიდან მაგრამ გაზარდეთ შესატანი სასუქის მოცულობა 60 გრამამდე, სასუქის შეტანა უნდა მოხდეს მცენარიდან 45 სმ რადიუსში. მესამე წელს შეიტანეთ 10/10/10 სასუქი 230 გრამი ერთ მცენარეზე, მცენარიდან 60-90 სმ-ის რადიუსში. მეოთხე წლიდან უნდა მოხდეს ჰექტარზე 225 კგ 10/10/10 სასუქის შეტანა ადრე გაზაფხულზე და აზოტის დამატებით შეტანა 120 კგ/ჰექტარი უნდა მოხდეს მაისის დასაწყისში და ივნისის შუა პერიოდში. მიკრო და მაკრო ელემენტების კონტროლისათვის მნიშვნელოვანია ფოთლის ანალიზის პერიოდულად გაკეთება, ქვემოთ ცხრილში მოცემულია მიკრო და მაკრო ელემენტების ოპტიმალური დონე კივის ფოთოლში.

| მიკრო და მაკრო ელემენტები | ზომის ერთეული | მაისი | ივლისი | ნოემბერი |
|---|---|---|---|---|
| N | % | 3.0 | 2.0-2.5 | 1.7-2.5 |
| K | % | 1.5-3.0 | 1.4-2.0 | 0.9-1.5 |
| P | % | 0.13-0.3 | 0.13-0.3 | |
| Ca | % | 0.15 | 0.02 | 0.03 |
| Cl | % | 0.2-1 | 0.2-1.3 | 0.2-1.6 |
| Zn | ppm | 12-30 | | |
| B | ppm | 30-90 | | |

**კივის ბოტრიტისი**-ანუ ნაცრისფერი სიდამპლე აავადებს როგორც ერთწლიან ისე მრავალწლიან მცენარეებს. ის პოლიფაგი სოკოა. ნაყოფზე ყუნწის მიმაგრების ადგილას შეიმჩნევა ჩაზნექილი მუქი ყავისფერი ლაქები, რომლებიც უმეტესად მექანიკური დაზიანების ადგილას გვხდება. ლაქები დაფარულია ქეჩისებრი მიცელიუმით, რომელზედაც ბუჩქის სახით კონიდიალური ნაყოფიანობა ჩნდება.

**კივის ნაყოფების ფუზარიუმი** - გავრცელებული სოკოა და მრავალი სახის ნაყოფის ლპობას იწვევს. სოკო აღნიშნული იქნა ახლად გამონასკვულ ყვავილებზე, შემდეგ მომწიფებულ ნაყოფებზე, ყუნწის მიმაგრების ადგილას ნაყოფის ქსოვილის შიგნით სოკო ინვითარებს მოწითალო-მოთეთრო მიცელიუმს, რომელზეც შეიმჩნევა თითისტარისებრი სპორები-მაკროკონიდიები.

**ნაყოფების სიდამპლე** - ის იწვევს მხოლოდ ნაყოფის დაზიანებას. აღინიშნება მოუმწიფებელ ნაყოფებზე. სოკო ნაყოფის დაზიანებულ ადგილებზე იძლევა წინაზრდილს, რომელიც ვრცელდება რბილობში, კანქვეშ პატარა მეჭეჭის სახით. ის ბაცი ყვითელი, შემდეგ ყავისფერი ხდება. ნაყოფი შავდება და მუნიფიცირდება. სოკოს ორი სტადია აქვს - კონიდიალური და ჩანთიანი.

**ცერკოსპორიოზი** - აღენიშნება მცენარეს როგორც ახალ-გაზრდა, ისე ხნიერ ფოთლებზე, სადაც ჩნდება მოწითალო-მოყავისფრო ლაქები. მიცელიუმი ფოთლის ქსოვილებშია განვითარებული, კარგად დატოტვილი კონიდიუმები, ცილინ-დრული, ის უსრულო სოკოების ჰიფალიების წარმომადგენელია.

**კივის ყავისფერი სილაქავე** ანუ ანთრაქნოზი-აღენიშნება ხნიერ ფოთლებზე. ლაქა ფოთლის კიდიდან იწყება , ის პირველად ყავისფერია, შემდეგ ნაცრისფერდება. ის უსრულო სოკოების წარმომოდგენელია.

**კივის სეპტორიოზი** - ფოთლებზე წარმოიშობა მოთეთრო ლაქები, ძლიერი დაავადებებისას ფოთლები დაფაცხავებულია.

### მოსავლის აღება

ვიზუალურად კივის კრეფის ვადების განსაზღვრა ძნელია, რადგან ნაყოფი გარეგნულად ვერ გამოავლენს ფერის ცვალებადობას ისე როგორც ეს სხვა ხეხილოვანებშია. საქართველოს თბილ რეგიონებში ნაყოფი შესაძლებელია მოიკრიფოს ნოემბრის თვეში, ყინვების დაწყებამდე და გაგრძელდეს დეკემბრის პირველ დეკადაში (მაგ. ჯიში ჰაივერდი) რაც შეეხება ადრემწიფად ფორმებს - მონტი ,ბრუნო-ისინი შესაძლებელია მოიკრიფოს 15-20 ნოემბრამდე. ნაყოფის კრეფა ხდება ხელით , ყუნწი რჩება მცენარეზე. მოკრეფილი ნაყოფი გადაიტანება ფარდულებში, სადაც ხარისხდება ზომების მიხედვით და თავსდება სამაცივრე კამერებში. შენახვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ნაყოფის მორფოლოგიურ თავისებურებებზე და შესანახი არის ოპტიმალურ რეჟიმზე.

ევროპის ქვეყნების ბაზარზე განასხვავებენ კივის ნაყოფის სამ კატეგორიას:

**ექსტრა** - ამ კატეგორიის ნაყოფი არ უნდა ხასიათდებოდეს დეფექტებით,იყოს მაღალი ხარისხის, მინიმალური წონა 80 გ.

პირველი კატეგორია -ნაყოფს უნდა ქონდეს ჯიშისათვის დამახასიათებელი ფორმა და ფერი.ნაყოფის მინიმალური წონა -70გ.

**მეორე კატეგორია** - ნაყოფი იყოს საკმაოდ მაგარი, არ არის აუცილებელი ფორმა და ფერი შეესატყვისებოდეს ჯიშურ მაჩვენებლებს , მინიმალური წონა 65გრამი.

კივის შენახვის ოპტიმალური პირობებია: 0 °C ტემპერატურა და 90-95 % ფარდობითი ტენიანობა. ასეთ პირობებში შენახვის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 4-5 თვეს. კივი მგრძნობიარეა ეთილენის მიმართ, ამიტომ მისი შენახვისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ეთილენისგან გაწმენდის აუცილებლობა .კონტროლირებად აირში (CA) შენახვის რეკომენდებული რეჟიმია (1-2 % O2+ 3,0 - 6,0 % CO2). შენახვის ხანგრძლივობა 6 თვეზე მეტია.

# ბიზნესგეგმა აგროსაწარმოს მაგალითზე

## ბიზნესგეგმის დანიშნულება

**ბიზნეს-გეგმა შემდეგ საკითხებს უნდა აღწერდეს:**

1. საწარმოს, ბიზნესის, პროექტის მიმდინარე ფინანსური, მარკეტინგული, ადმინისტრაციული და საკადრო მდგომარეობა
2. არსებული პრობლემების და განვითარების შესაძლებლობები
3. მოკლედ, მკაფიოდ და მარტივად ჩამოყალიბებული მიზნები
4. მიზნების მიღწევის საშუალებები
5. მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი სამოქმედო გეგმა

ბიზნესგეგმის შინაარსი დამოკიდებულია საწარმოს, ბიზნესის, პროექტის მახასიათებლებზე, ბიზნესგეგმის მიზნობრიობაზე (შეიძლება ეს საჭირო იყოს ახალი პროდუქტის გასაშვებად, ახალი ბაზრების ასათვისებლად, რეორგანიზაციისთვის, ინვესტიციების მოსაზიდად...). ქვემოთ მოცემულია ძირითადი საკითხები (აგროსაწარმოს მაგალითზე), რომლებიც უნდა იყოს გადმოცემული ბიზნესგეგმაში.

**ბიზნესგეგმაში წარმოდგენილი პროექტის არსი**

- საქმიანობის ადგილი
- გამოსაშვები პროდუქტების ჩამონათვალი
- გამოსაშვები პროდუქტების რაოდენობები
- გაყიდვების სიდიდე
- შესასყიდი ნედლეულის რაოდენობები და ღირებულებები
- დასაქმებულთა რაოდენობა და სახელფასო ფონდი
- ძირითადი ბაზრები
- საჭირო ინვესტიციის სტრუქტურა და სიდიდე
- საწარმოს SWOT-ანალიზი
- პროექტის სხვა ძირითადი საპროგნოზო პარამეტრები

**პროექტის არსის ფორმულირების მაგალითი:** ბიზნესის არსია კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში რძის პროდუქტების მწარმოებელი ახალი საწარმოს შექმნა. საწარმოს პროდუქტები 2 სახის ყველი და ნადუღი იქნება. საწარმო ყოველდღიურად სეზონების მიხედვით 2.5-4.0 ტონა რძეს (ყოველწლიურად 1.0 მილიონი ლარის ღირებულების 1.2 მილიონ ლიტრ რძეს) გადაამუშავებს, წლიურად 190 ტონა პროდუქციას დაამზადებს და მისი წლიური გაყიდვები 2018 წლიდან 1.1 მლნ ლარზე მეტი იქნება. პროდუქცია გაიყიდება მხოლოდ საქართველოში. პროდუქცია იქნება ნატურალური და მაღალხარისხიანი და შევა ამ კატეგორიის საშუალოფასიან სეგმენტში. საწარმოში 15 ადამიანი დასაქმდება და მათი წლიური სახელფასო ფონდი 113,100 ლარი იქნება. პროექტის საინვესტიციო ღირებულებაა 425,000 ლარი, აქედან 225,000 ლარი საწარმოს პარტნიორთა კაპიტალია, 200,000 ლარი – საბანკო კრედიტი.

**ბიზნესის ისტორია და მიმდინარე მდგომარეობა**

- ბიზნესის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა, დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი
- ბიზნესის ადგილმდებარეობა და საკადასტრო კოდი
- დამფუძნებლები, მათი გამოცდილება, კომპეტენციები
- დასაქმებულთა რაოდენობა, პოზიციები, ყოველთვიური და წლიური ხელფასები
- რა პროდუქტებს აწარმოებს ბიზნესი თითოეულის აღწერით (ნედლეული, დაფასოება, შეფუთვა, ბრენდირება, შენახვის ვადა...)
- რა რაოდენობით ნედლეულს ყიდულობს ბიზნესი ყოველდღიურად/ყოველთვიურად სეზონების მიხედვით, რა ფასად, რა ტერიტორიებზე და რამდენი ფერმერისგან
- რამდენია თითოეული პროდუქტის თვითღირებულება, როგორია თვითღირებულების სტრუქტურა
- რა რაოდენობით და რა ფასად იყიდება თითოეული პროდუქტი
- როგორ აწვდის ბაზარს ბიზნესი პროდუქციას (საკუთარი სადისტრიბუციო სისტემა, შუამავლები)
- რომელ პროდუქტს სად და რამდენს ყიდის (კონკრეტული ტერიტორიები, სავაჭრო ობიექტები, რესტორნები, სასტუმროები, აგრობაზრები, ექსპორტი...)
- ბოლო წლების რეალიზაციების მოცულობები და მოგების სიდიდეები

**გამოსაშვები პროდუქტები**

- რა სახის პროდუქტების წარმოებას გეგმავს საწარმო
- თითოეული სახის პროდუქტის მოკლე აღწერა (ნედლეული, დაფასოება, შეფუთვა, ბრენდირება, შენახვის ვადა...)
- თითოეული პროდუქტის საპროგნოზო რაოდენობები სეზონების მიხედვით
- თითოეული პროდუქტის საპროგნოზო სარეალიზაციო ფასები სეზონების მიხედვით
- თითოეული პროდუქტის თვითღირებულება და ნულოვანი მოგების წერტილი
- თითოეული პროდუქტის დამზადების პროცესის მოკლე აღწერა
- საპროგნოზო მაჩვენებლები

**პროდუქტის აღწერის მაგალითი:** სულგუნი მიიღება იმერული ყველის მასის გადამუშავებით და ეძლევა სპეციალური სასულგუნე ფორმა. „საქსტანდარტის" მიხედვით, სულგუნი მზადდება ძროხის, კამეჩის, თხის რძისაგან ან მათი ნარევისაგან (საწარმო სულგუნის დამზადებას პირველ ეტაპზე გეგმავს ძროხის რძისგან). ფორმა: დაბალი ცილინდრის ფორმის ყველი, ქერქის გარეშე. დიამეტრი: 15-20 სმ., სიმაღლე: 2,5-3,5 სმ., მასა: 0,5-1,5 კგ. გამონაკლისის სახით დასაშვებია პარამეტრებიდან გადახრა. ორგანოლეპტიკა: სუნი: სასიამოვნო, დამახასიათებელი ამ ტიპის ყველისათვის; გემო: სუფთა, დამახასიათებელი რძემჟავური, ზომიერად მარილიანი, მკვრივი, ელასტიკური, ფენოვანი. მთელი მასა თანაბარი ფერისაა, თეთრიდან მოყვითალომდე. ნასვრეტების გარეშე, დასაშვებია სიცარიელე ფენებს შორის. დაფასოება და შეფუთვა: ყველის ცალკეული თავები შეიფუთება ვაკუუმური წესით, შეფუთვაზე დატანილი იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული ეტიკეტი და საწარმოს საფირმო ნიშნები. პროდუქტის შენახვის ვადა და პირობები: 90 დღე. საწარმო ამ პროდუქტს ინახავს მაქსიმუმ 2-3 დღე (წარმოებიდან უახლოეს სადისტრიბუციო რეისამდე).

**სეზონური ფასების მაგალითი:**

| თვე /ფასი (ლარი/კგ) | 1 – 3 | 4 | 5 – 8 | 9 | 10 – 12 |
|---|---|---|---|---|---|
| იმერული | 8.00 | 7.00 | 6.00 | 7.00 | 8.00 |
| სულგუნი | 12.00 | 10.00 | 9.00 | 10.00 | 10.00 |
| ნადუღი | 3.00 | 3.00 | 3.00 | 3.00 | 3.00 |

**საშუალო წლიური თვითღირებულების მაგალითი:**

| გათვლილია ცვლადი ხარჯების მეთოდით | იმერული | სულგუნი |
|---|---|---|
| მზა პროდუქციის თვითღირებულება (ლარი/კგ) | 5.91 | 7.43 |
| რძის ღირებულება | 5.85 | 7.20 |
| გაზის ღირებულება | 0.03 | 0.04 |
| შეფუთვა და ეტიკეტი | – | 0.15 |
| სხვა ხარჯები | 0.03 | 0.04 |

**დაგეგმილი საპროგნოზო მაჩვენებლების მაგალითი:**

| მაჩვენებელი / წელი | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| შესყიდული რძის მოცულობა (ლ) | 960,000 | 1,172,500 |
| შესყიდული რძის ღირებულება (ლ) | 833,250 | 1,038,700 |
| წარმოებული პროდუქციის მასა (კგ) | 154,793 | 191,589 |
| იმერული ყველი | 72,082 | 89,497 |
| სულგუნი | 58,711 | 72,779 |
| ნადუღი | 24,000 | 29,313 |
| რეალიზებული პროდუქციის მასა (კგ) | 155,955 | 191,589 |
| იმერული ყველი | 72,728 | 89,497 |
| სულგუნი | 59,228 | 72,779 |
| ნადუღი | 24,000 | 29,313 |
| პროდუქციის გაყიდვები (ლ) | 1,138,967 | 1,436,467 |
| იმერული ყველი | 495,346 | 624,599 |
| სულგუნი | 571,621 | 723,930 |
| ნადუღი | 72,000 | 87,938 |
| წმინდა მოგება (ლ) | 108,809 | 178,827 |
| წმინდა მოგება (%) | 10 | 12 |

**ბაზრის აღწერა**

- ბაზარზე არსებული პროდუქტები: დახასიათება, ხარისხი, ფასები, გეოგრაფიული განაწილება
- ბაზრის სიდიდე პროდუქციის მასის მიხედვით
- ბაზრის სიდიდე თანხების მიხედვით
- კონკურენტების აღწერა
- საწარმოს კონკურენტული უპირატესობები
- მომხმარებლების აღწერა, სეგმენტები და მიზნობრივი ბაზრები
- საწარმოს პოზიციონირება
- საწარმოს წილი ბაზარზე

**ბაზრის სიდიდის და საწარმოს საბაზრო წილის გაანგარიშების მაგალითი:**

2015 წელს დაახლოებით 27,000 - 28,000 ტონა ყველია გაყიდული. ბაზარზე იყიდება 60% იმერული ყველი, საშუალო ფასით 7,00 ლარი/კგ (მწარმოებლის გასაყიდი ფასი და არა შუამავლების მიერ საკუთარი ფასნამატით ფორმირებული ფასი) და 40 % სხვა სახის ყველი საშუალო ფასით 9.00 ლარი/კგ. ამ მონაცემების მიხედვით, 2015 წლისთვის საქართველოს ყველის ბაზრის მოცულობა ფულადი სახით იყო შემდეგი: 27 500 000 კგ * 60 % * 7,00 ლარი/კგ. + 27 500 000 კგ. * 40 % * 9,00 ლარი კგ. = 214,5 მლნ ლარი

# ბიზნესგეგმა აგროსაწარმოს მაგალითზე

წელიწადში.

| ყველი – მაჩვენებელი/წელი | 2018 | 2019 |
|---|---|---|
| საწარმოს რეალიზებული ყველის მასა (ტონა) | 132 | 162 |
| ბაზარზე გაყიდული ყველის მასა (ტონა) | 27,500 | 27,500 |
| საწარმოს წილი ბაზარზე მასის მიხედვით (%) | 0.48 | 0.58 |
| საწარმოს გაყიდული ყველის ღირებულება (მლნ. ლარი) | 1.067 | 1.349 |
| ბაზარზე გაყიდული ყველის ღირებულება (მლნ. ლარი) | 214.5 | 214.5 |
| საწარმოს წილი ბაზარზე თანხის მიხედვით (%) | 0.50 | 0.63 |

**მარკეტინგი**

- სად გაიყიდება თითოეული სახის პროდუქცია: კონკრეტული ტერიტორიები, სავაჭრო ობიექტები, რესტორნები, სასტუმროები, საცხობები, აგრობაზრები, ექსპორტი...
- დისტრიბუციის სისტემა: ავტომობილების რაოდენობა, შემსყიდველი ობიექტების რაოდენობა, ამ ობიექტებისათვის პროდუქტების მიწოდების სიხშირე, საწყობიდან ქსელში დისტრიბუციის დეტალები, რეალიზებული პროდუქციის ღირებულების ამოღების დრო
- საწარმოს ხედვა ბრენდირებასთან, რეკლამასთან, სავაჭრო ობიექტებში დახლზე განთავსებასთან და სხვა მარკეტინგულ აქტივობებთან დაკავშირებით
- ორგანიზაციული სტრუქტურა და თანამშრომლები
- საკვანძო პერსონალი, გამოცდილება, კომპეტენციები
- ძირითად და სეზონურ თანამშრომელთა ჩამონათვალი, პოზიციები და ფუნქციები
- თანამშრომელთა ყოველთვიური და წლიური ხელფასები

**შენობა-ნაგებობები, აპარატურა-დანადგარები, ავტომობილები**

- შენობა-ნაგებობების აღწერა, თითოეული ნაწილის დანიშნულება და ფართობი
- მშენებლობის/რემონტის ღირებულება
- ვინ ასრულებს მშენებლობა/რემონტს
- რამდენი ხანი სჭირდება მშენებლობის/რემონტის დასრულებას
- აპარატურა-დანადგარების ჩამონათვალი წარმადობის და ფასების მითითებით
- ვისგან (მწარმოებელი, ქვეყანა) ყიდულობს საწარმო აპარატურა-დანადგარებს
- აპარატურა-დანადგარების ტრანსპორტირების და მონტაჟის ღირებულება
- რამდენი ხანი სჭირდება აპარატურა-დანადგარების დამზადებას, ტრანსპორტირებას და მონტაჟს
- ავტომობილების რაოდენობა, აღწერა და ღირებულებები

**ნედლეული**

- რამდენ ლიტრ ან კილოგრამ ნედლეულს შეიძენს საწარმო ყოველდღიურად/ ყოველთვიურად
- რა ფასად შეიძენს საწარმო ნედლეულს სეზონების მიხედვით
- რა ტერიტორიებზე და რამდენი ფერმერისგან შეიძენს საწარმო ნედლეულს
- დამხმარე ნედლეულის (მარილი, საკმაზები...) რაოდენობები და ფასები
- სანედლეულო ბაზის ანალიზი
- ნედლეულის მიღების პროცესის აღწერა

**ინვესტიციები და ფინანსები**

- საინვესტიციო გეგმა
- ფულის მოძრაობის უწყისი
- მოგება/ზარალის უწყისი
- ნულოვანი მოგების წერტილის გათვლა
- ლიკვიდურობის კოეფიციენტები
- მოგებიანობის კოეფიციენტები
- სესხის კოეფიციენტები
- ეფექტიანობის კოეფიციენტები

**საინვესტიციო გეგმის მაგალითი:**

ინვესტიციების წყაროები

| მიზნობრიობა | სულ | გრანტი | სესხი | საკუთარი კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| ფიქსირებული აქტივები | 226,517 | 147,460 | 54,480 | 24,577 |
| მშენებლობა | 57,900 | 33,323 | – | 24,577 |
| აპარატურა-დანადგარები | 152,617 | 114,137 | 38,480 | – |
| ავტომობილები | 16,000 | – | 16,000 | – |
| საბრუნავი საშუალებები | 15,600 | – | 15,600 | – |
| ნედლეული (რძე) | 15,500 | – | 15,500 | – |
| დამხმარე ნედლეული | 100 | – | 100 | – |
| საოპერაციო ხარჯები | 3,650 | – | 3,650 | – |
| ხელფასები | 1,500 | – | 1,500 | – |
| ავტომობილების საწვავი | 500 | – | 500 | – |
| შესაფუთი მასალები | 1,150 | – | 1,150 | – |
| უნიფორმები | 250 | – | 250 | – |
| დენი, გაზი, წყალი | 250 | – | 250 | – |
| სულ | 245,767 | 147,460 | 73,730 | 24,577 |

**ინვესტიციები თვეების მიხედვით**

| მიზნობრიობა / თვე | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|
| ფიქსირებული აქტივები | 121,480 | 75,837 | 29,200 | – |
| მშენებლობა | 37,635 | 20,265 | – | – |
| აპარატურა-დანადგარები | 83,845 | 55,572 | 13,200 | – |
| ავტომობილები | – | – | 16,000 | – |
| საბრუნავი საშუალებები | – | – | – | 15,600 |
| ნედლეული (რძე) | – | – | – | 15,500 |
| დამხმარე ნედლეული | – | – | – | 100 |
| საოპერაციო ხარჯები | – | – | 250 | 3,400 |
| ხელფასები | – | – | – | 1,500 |
| ავტომობილების საწვავი | – | – | – | 500 |
| შესაფუთი მასალები | – | – | – | 1,150 |
| უნიფორმები | – | – | 250 | – |
| დენი, გაზი, წყალი | – | – | – | 250 |
| სულ | 121,480 | 75,837 | 29,450 | 19,000 |

ბიზნესგეგმის შედგენისას, აუცილებლად გამოგადგებათ სხვადასხვა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, სასარგებლო მონაცემებს მიიღებთ ასევე სავაჭრო ქსელებში და აგრობაზრებში წარმოდგენილი პროდუქტების შესწავლით. აუცილებლობის შემთხვევაში, აგროსაკითხებზე უფასო კონსულტაციებს გაგიწევენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები და ქოლცენტრი 1501.

წყარო: პორტალი მეწარმეებისთვის www.business.org.ge

## აგროწარმოება

### თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები: მემცენარეობა

ქვემოთ მოცემულია თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები ხორბლისა და სიმინდისთვის. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით: ადგილობრივი წარმოება შეფარდებული ადგილობრივ წარმოებას დამატებული იმპორტი, გამოკლებული ექსპორტი, გამრავლებული 100-ზე. ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რა დონეზე უზრუნველყოფს ქვეყანა მოცემულ პროდუქტზე საკუთარ მოთხოვნებს საკუთარი რესურსით და რამდენადაა ის დამოკიდებული იმპორტზე. ეს მონაცემები შეიძლება საინტერესო იყოს აგრომეწარმეობით დაინტერესებული პირებისთვის. ცხრილებიდან ჩანს, როგორია ადგილობრივი წარმოებით იმპორტის ჩანაცვლების პოტენციალი ან/და პროდუქტის საექსპორტოდ გაყიდვების პოტენციალი.

**ხორბალი**

| მაჩვენებლები | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|
| რესურსები (ათასი ტონა) | | | |
| მარაგი წლის დასაწყისში | 95 | 48 | 73 |
| ადგილობრივი წარმოება | 48 | 126 | 127 |
| იმპორტი | 651 | 647 | 552 |
| სულ რესურსები | 794 | 821 | 752 |
| გამოყენება (ათასი ტონა) | | | |
| სათესლედ | 14 | 15 | 14 |
| პირუტყვის საკვებად | 22 | 57 | 30 |
| სამრეწველო მოხმარება (სპირტის საწარმოებლად) | 5 | 5 | 5 |
| სასურსათო მოხმარება | 650 | 643 | 624 |
| დანაკარგები | 13 | 15 | 13 |
| ექსპორტი | 42 | 13 | 16 |
| მარაგი წლის ბოლოს | 48 | 73 | 50 |
| მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით) | 794 | 821 | 752 |
| თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, % | 7 | 17 | 19 |

**სიმინდი**

| მაჩვენებლები | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|
| რესურსები (ათასი ტონა) | | | |
| მარაგი წლის დასაწყისში | 179 | 189 | 151 |
| ადგილობრივი წარმოება | 292 | 185 | 244 |
| იმპორტი | 57 | 71 | 70 |
| სულ რესურსები | 528 | 445 | 465 |
| გამოყენება (ათასი ტონა) | | | |
| სათესლედ | 5 | 5 | 4 |
| პირუტყვის საკვებად | 153 | 129 | 130 |
| სასურსათო მოხმარება | 144 | 136 | 142 |
| დანაკარგები | 10 | 7 | 9 |
| ექსპორტი | 27 | 17 | 7 |
| მარაგი წლის ბოლოს | 189 | 151 | 173 |
| მთლიანი გამოყენება (მარაგის ჩათვლით) | 528 | 445 | 465 |

| | | | |
|---|---|---|---|
| თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი, % | 91 | 77 | 79 |

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## სამაცივრე მეურნეობების კვლევა: 2016

**სამაცივრე მეურნეობების რაოდენობები**

2016 წელს საქართველოში სამაცივრე მეურნეობების რაოდენობა 58 იყო, მათგან 63.8% შიდა ქართლისა და თბილისზე მოდიოდა.

| რეგიონი | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| შიდა ქართლი | 25 | 43.1 |
| თბილისი | 12 | 20.7 |
| იმერეთი | 8 | 13.8 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 6 | 10.3 |
| ქვემო ქართლი | 2 | 3.4 |
| გურია | 2 | 3.4 |
| კახეთი | 2 | 3.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1 | 1.7 |

**სერვისები და შესყიდვები**

2016 წელს სამაცივრე მეურნეობებში მომსახურება გაეწია 8,107 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია, 571 ერთეული შეადგინა.

**ტევადობა**

2016 წელს სამაცივრეებში არსებული კამერების რაოდენობა 365 იყო, მათი ჯამური ტევადობა კი 102,491 კუბური მეტრი იყო.

**შენახული პროდუქცია**

2016 წლის განმავლობაში, მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 280.1 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 44,9 %-ს წარმოადგენდა ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 27,1 % მოდიოდა ხორცზე და ხორცპროდუქტებზე (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 10,6 % – თევზზე, 6,0% – ხილზე და ხილბოსტნეულზე, ხოლო დანარჩენ პროდუქციაზე 6.8%.

| შენახული პროდუქციის ტიპი | მასა (ტონა) | % |
|---|---|---|
| საკუთარი წარმოების | 9,750 | 3.5 |
| შესყიდული შემდგომი გაყიდვისთვის | 13,095 | 4.7 |
| მომსახურებისთვის | 257,271 | 91.8 |
| სულ | 280,116 | |

**შემოსავლები**

2016 წელს 1 ტონა პროდუქტის შენახვის საშუალო დღიური ფასი 1.5 ლარი იყო. მომსახურების ჯამურმა საფასურმა 15.6 მლნ ლარი შეადგინა.

**დატვირთვა**

სამაცივრე მეურნეობების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა თვეების მიხედვით 46.8 %-დან (ნოემბერი) 63.5 %-მდე (იანვარი) მერყეობდა.

**ტექნიკური აღჭურვა**

სამაცივრე მეურნეობების 60.3 % თანამედროვე ტექნოლოგიებით სრულად იყო აღჭურვილი, 27.6 % – ნაწილობრივ, ხოლო 12.1 % საერთოდ არ იყო აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

**სესხით სარგებლობა**

სესხით სარგებლობდა სამაცივრე მეურნეობების 46.6 %. აქედან, 63.0 %-ს სესხი აღებული ჰქონდა ძირითადი საშუალებებისთვის, 29.6 %-ს – საბრუნავი კაპიტალისათვის, ხოლო 7.4 %-ს – როგორც ძირითადი საშუალებებისთვის, ისე საბრუნავი კაპიტალისათვის.

**კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორები**

სამაცივრე მეურნეობების 16,1% თვლიდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას კონკურენტუნარიანობაზე კომუნალური გადასახადების სიდიდე ახდენს, 15,3 % მნიშვნელოვან ფაქტორად შესაბამისი მოწყობილობის/ტექნოლოგიის უქონლობას ასახელებდა, 15,1 %-ის აზრით, კონკურენტუნარიანობაზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, 13,8 % ამის მთავარ მიზეზად მიიჩნევდა სახელმწიფო გადასახადების სიდიდეს, 13,8 % – თანამშრომელთა კვალიფიკაციას, 13,2 % – სუსტ კავშირს მწარმოებლებთან და 12,6% – მომსახურებაზე დაბალ მოთხოვნას.

წყარო: წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## აგროპროდუქტების საშუალო ფასები „ფერმის კართან"

ქვემოთ მოცემულია 24 აგროპროდუქტის საშუალო წლიური ფასები (ლარი/კგ.) „ფერმის კართან" – ამ პროდუქტების მწარმოებლებისგან შესყიდვის ფასები – 2014-2016 წლებში. აგროწარმოებით დაინტერესებულ პირებს ეს მონაცემები გამოადგებათ სხვადასხვა პროდუქტის ფასების წლიური დინამიკის დასანახად და, შესაძლებელია, საკუთარი აგროპროდუქციის ფასების პროგნოზირებისთვისაც.

აგროპროდუქტების საშუალო ფასები "ფერმის კართან"

| დასახელება | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|
| მემცენარეობა | | | |
| ერთწლიანი კულტურები | | | |
| ხორბალი | 0.52 | 0.44 | 0.41 |
| ქერი | 0.52 | 0.48 | 0.43 |
| სიმინდი | 0.52 | 0.54 | 0.51 |
| ლობიო | 3.02 | 2.90 | 3.13 |
| კარტოფილი | 0.77 | 0.66 | 0.43 |
| კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ბროკოლი | 0.21 | 0.29 | 0.18 |
| პომიდორი | 0.71 | 0.83 | 0.62 |
| კიტრი | 0.84 | 0.92 | 0.79 |
| ხახვი ბოლქვად | 0.70 | 0.61 | 0.40 |
| მრავალწლოვანი კულტურები | | | |
| ვაშლი | 0.50 | 0.69 | 0.58 |
| მსხალი | 1.00 | 1.17 | 1.06 |
| ქლიავი, ჭანჭური, ღოღნაშო | 0.81 | 0.81 | 0.79 |
| ბალი, ალუბალი | 1.34 | 1.32 | 1.58 |
| ატამი, ვაშლატამა | 0.58 | 0.95 | 0.43 |
| კაკალი | 3.59 | 4.91 | 4.43 |
| თხილი | 6.28 | 5.93 | 4.45 |
| ყურძენი | 1.25 | 0.78 | 0.92 |
| მეცხოველეობა | | | |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი | 8.75 | 9.60 | 10.48 |
| ღორის ხორცი | 7.84 | 6.78 | 6.14 |
| ცხვრის და თხის ხორცი | 9.09 | 11.68 | 9.99 |
| ქათმის ხორცი | 3.93 | 4.24 | 4.13 |
| რძე (1 ლიტრი) | 0.88 | 0.81 | 0.80 |
| კვერცხი (1 ცალი) | 0.21 | 0.23 | 0.21 |
| თაფლი | 10.80 | 14.21 | 13.14 |

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საშემოდგომო სამუშაოები თავთავიან კულტურებში

| | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი | კალენდარული ვადა |
| ახმეტა, თელავი, გურჯაანი, ყვარელი, ლაგოდეხი, დედოფლის წყარო, სიღნაღი, მცხეთა, მარნეული, გარდაბანი | 1 ოქტომბერი - 30 ოქტომბერი |
| საგარეჯო, თეთრი წყარო, თიანეთი, დუშეთი, სამაჩაბლო, გორი, ქარელი, ხაშური, კასპი | 20 სექტემბერი- 20 ოქტომბერი |
| წალკა, ახალქალაქი | 20 აგვისტო - 15 სექტემბერი |
| დმანისი, ახალციხე, ადიგენი, ბორჯომი | 15 სექტემბერი - 15 ოქტომბერი |
| ასპინძა | 1 სექტემბერი - 1 ოქტომბერი |
| სამტრედია, ხონი, წყალტუბო, ვანი, ბაღდათი, ზესტაფონი, თერჯოლა | 20 ოქტომბერი -15 ნოემბერი |
| ჭიათურა, საჩხერე, ხარაგაული, ტყიბული, ონი, ამბროლაური, ცაგერი, ქვემო სვანეთი, ზემო სვანეთი | 15 სექტემბერი -10 ოქტომბერი |

თავთავიანი კულტურების წარმოებაში საშემოდგომო ფორმების ხვედრითი წილი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი საგაზაფხულო ფორმებისა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მისი მოსავლიანობა უფრო მყარი და საიმედოა. საშემოდგომო თავთავიანები უკეთესად იყენებს ნიადაგის ტენს, ინვითარებს მძლავრ ფესვთა სისტემას და აქვს ბარტყობის მეტი უნარი, ვიდრე საგაზაფხულო ფორმები. საქართველოში თავთავიანი კულტურების საერთო ნათესებში 70% უკავია საშემოდგომო ფორმებს. მათი გავრცელების ძირითადი ზონებია: კახეთი, ქართლი, მესხეთ-ჯავახეთი. უკანასკნელ პერიოდში, კლიმატური ცვლილებების გამო, ხშირად შემოდგომის ნათესი ხასიათდება სუსტი ზრდა-განვითარებით. ამიტომ, მაღალი და მყარი მოსავლის მისაღებად, საჭიროა მკაცრად დავიცვათ საშემოდგომო სამუშაოების ვადები, შესრულების ხარისხი და სათესლე მასალის მომზადების წესი.

საშემოდგომო სამუშაოები იწყება წინა წლის მოსავლის აღებიდან. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი - ერთი, მოსავლის აღება ჩვეულებრივი წესით, როდესაც ხდება მარცვლის და ჩალის აღება, დაპრესვა და გამოტანა, და მეორე, მოსავლის აღება თანამედროვე ტექნოლოგიით - მარცვლის აღებით და ჩალის ჩაკუწვით. ორივე შემთხვევაში აუცილებელია აღებისთანავე ნიადაგის აჩეჩვა. აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოფს ნიადაგში ტენის დაგროვებას. მეორე, უფრო თანამედროვე მეთოდი, უკეთესად უზრუნველყოფს ტენის დაგროვებას, მაგრამ საჭიროებს დროულ მოხვნას, რათა დროულად მოხდეს ნიადაგში მისი ჩალპობა. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ჩაკუწული ჩალის ჩახვნა არ ხდება დროულად, ვერ ასწრებს დალპობას, თესლის მოჭიდულობა ნიადაგთან მცირდება, ნათესი სუსტდება და მოსავალი მკვეთრად მცირდება. ასეთი შედეგის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, ჩაკუწული მასა ღრმად აიჩეჩოს, მოიხნას აგვისტოს (15-25) თვეში, თესვის წინ დაიფრეზოს და დაიტკეპნოს, დათესვის შემდეგ განმეორებით ჩატარდეს ნიადაგის მოტკეპნა.

ნიადაგის უსისტემო ექსპლუატაციის გამო, ბოლო წლებში, საფრთხე შეექმნა ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებას. წლების განმავლობაში, ერთსა და იმავე ნიადაგზე ითესებოდა ერთი და იგივე კულტურა, რის შედეგადაც მოხდა ნიადაგების ცალმხრივი გაღარიბება. ეს მოვლენა დღეს თითქმის აღარ ხდება, მაგრამ, სამწუხაროდ, თესლბრუნვისათვის იყენებენ მხოლოდ შავ ანეულს, რაც ცუდი ღონისძიება არ არის, მაგრამ თანამედროვე მსოფლიო წარმატებით იყენებს მოთესილ ანეულს და სიდერაციას. ეს ღონისძიებები ფერმერებს საშუალებას მისცემს დაიცვან ნიადაგის ნაყოფიერება და მკვეთრად გაზარდონ მოსავლიანობა. თავთავიანებისათვის საუკეთესო წინამორბედია ანეული და სათოხნი კულტურები.

ნიადაგის განოყიერება მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. განოყიერება სამი სახისაა: ძირითადი განოყიერება, ხვნის წინ, ან ძირითადი ხვნისთანავე; სასტარტო განოყიერება - თესვის დროს და გამოკვებისას. ჩვენთან მიღებულია განოყიერება ძირითადი ხვნის დროს. სამწუხაროდ, არ ექცევა ყურადღება სასუქის შემადგენლობას და მოქმედების პერიოდულობას. თანამედროვე ტექნოლოგიით უკეთესია თესვის დროს განოყიერება. უპირატესობა იმაშია, რომ სასუქების უმრავლესობა სწრაფი მოქმედებისაა და აღმონაცენი უფრო ეფექტიანად იყენებს. თუ ძირითადი განოყიერებისას შევიტანთ ადვილად ხსნად სასუქებს, მაშინ, აღმოცენებამდე აორთქლდება სასარგებლო ნაერთები (ძირითადად აზოტი) და აღმონაცენი მისით ვერ ისარგებლებს. ამიტომ, უმჯობესია სასუქების შეტანა მოხდეს თესვისას. მნიშვნელოვანია აღმონაცენის განოყიერება შემოდგომაზე. სამწუხაროდ, ეს პროცესი მთლიანად ამოღებულია პრაქტიკიდან. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქართული სიტყვა „ჯეჯილი“. ეს იმას ნიშნავდა, რომ შემოდგომაზე ყანა საკმაოდ მაღალი იზრდებოდა. ცნობილია ეს ღონისძიებაც „გადაძოვება“. ესეც აგროტექნიკური ღონისძიება იყო, რომელიც ნათესს გადაზრდისაგან იცავდა. დღეისათვის, სამწუხაროდ, შემოდგომის ნათესი ხშირად ვერ აღწევს ნორმალურ განვითარებას. ამიტომ აუცილებელია აღმონაცენის გამოკვება თხევადი სასუქით, რომელიც გააძლიერებს მცენარეს, ბარტყობას და ზამთარგამძლეობას. ვეგეტაციის მანძილზე ფოთლიდან გამოკვებას 8-10-ჯერ იყენებენ.

მნიშვნელოვანია თესვის ვადების მკაცრად დაცვა. დაგვიანებული ნათესი მოსავლიანობის 20-30%-ს კარგავს. საქართველოს რეგიონებისთვის თესვის ვადები ასეთია:

თავთავიანი კულტურების მოსავლიანობა დიდადაა დამოკიდებული სათესლე მასალაზე. ხორბლის, ქერის, შვრიის თესლის ხარისხობრივი მაჩვენებლები ერთნაირია. ელიტური თესლით თესვა მოსავლიანობას 20-30%-ით ზრდის. ყოველი მომდევნო თაობა (რეპროდუქცია), მოყვანის პირობების მიხედვით, ყოველწლიურად 10-20%-ს კარგავს. ამიტომ, როდესაც თესლს ვარჩევთ, უმჯობესია შევარჩიოთ სერტიფიცირებული ელიტური (ბაზისური) თესლი. დაუშვებელია შეუწამლავი თესლით თესვა. თესლის მწარმოებლები, ძირითადად შეწამლულ თესლს ყიდიან, მაგრამ საკუთარი თესლის გამოყენებისას, აუცილებელია სოკოვანი დავადებების წინააღმდეგ მისი დამუშავება ფუნგიციდით.

მოსავლიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია თესვის ნორმა. თესვის ნორმა დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, კლიმატურ პირობებზე და, რაც მთავარია, ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებაზე. სარწყავ პირობებში შესაძლებელია თესვის ნორმის გაზრდა, რადგან მორწყვის შედეგად შეგვიძლია მცენარეს მივაწოდოთ მისთვის საჭირო საკვები ნივთიერებები. ურწყავ პირობებში, თხელ ნათესში მცენარეები კნინდება, ხშირ ნათესში მცენარეები იღუპება. ჯიშის თავისებურებიდან გასათვალისწინებელია აღმოცენების უნარიანობა და ბარტყობა. ელიტური თესლის აღმოცენების უნარიანობა უნდა იყოს არანაკლებ 90%, პირველი რეპროდუქციის 85%. რაც შეეხება ბარტყობას, თუ ჯიში ხასიათდება მაღალი ბარტყობის უნართ, თესვის ნორმა უნდა შემცირდეს, დაბალი ბარტყობისას თესვის ნორმა უნდა გაიზარდოს. ზოგადად, თესვის ნორმა ხორბლისთვის მერყეობს 220-250 კგ-ს ფარგლებში, ქერისთვის 200-220 კგ-მდე. უცხოური ჯიშების ბარტყობის მაჩვენებელი მაღალია და ამიტომ ურჩევენ 145-160 კგ-ის თესვას. გასათვალისწინებელია, რომ ასეთი ნორმით თესვა მოითხოვს მაღალ ტექნოლოგიას. ფერმერმა თვითონ უნდა შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, შეუძლია თუ არა ამ ტექნოლოგიის განხორციელება, რაც გულისხმობს საუკეთესო წინამორბედს, ნიადაგის ხარისხიან დამუშავებას, ხარისხიანი თესლით თესვას, განოყიერებას მთელი ვეგეტაციის პერიოდში.

ხორბალი ითესება მწკრივად. არჩევენ მწკრივად თესვის რამდენიმე წესს: ჩვეულებრივ მწკრივად (მწკრივთაშორის 15 სმ), ვიწრო მწკრივად (მწკრივთაშორის 7,5 სმ) და ჯვარედინად თესვას. აქედან უპირატესობა უნდა მიეცეს ვიწრო მწკრივად და ჯვარედინად თესვას, მაგრამ თესვის ამ ორი წესიდან უკეთესია ვიწრო მწკრივად თესვა, რადგან ჯვარედინად თესვის დროს ორჯერ მეტი დრო და ენერგია იხარჯება, ნიადაგი იტკეპნება, მცენარეები მწკრივების გადაკვეთის ადგილზე ჯგუფ-ჯგუფად ამოდის. ვიწრო მწკრივად და ჯვარედინად თესვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქარისმიერი ეროზიის ზონებში.

ხორბლის თესლის ჩათესვის სიღრმე ნიადაგის კონკრეტული მდგომარეობის კვალობაზე მერყეობს 4-6 სმ ფარგლებში. მძიმე მექანიკური შემადგენლობის და ტენიან ნიადაგებზე თესვა ტარდება შედარებით ზერელედ, ხოლო მსუბუქ და მშრალ ნიადაგებზე - უფრო ღრმად. ქარისმიერი ეროზიის ზონაში თესვა უმჯობესია ვაწარმოოთ ჩვეულებრივ სიღრმეზე 1-2 სმ-ით ღრმად. თესვის შემდგომ ნათესის დატკეპნა ხელს უწყობს ტენის ნიადაგის ზედაპირულ ფენაში გადანაცვლებას, რაც აჩქარებს აღმოცენებას, უზრუნველყოფს მის სითანაბრეს და საშემოდგომო ბარტყობას, აგრეთვე, გამორიცხავს ნიადაგის დაჯდომას, რის შედეგადაც უმჯობესდება გადაზამთრების პირობები.

# თხილის კულტურის სარეველები

თხილი (Corylus avellana L.) მნიშვნელოვანი კაკლოვანი კულტურაა. ძველ ბერძნებს იგი ოჯახური ბედნიერებისა და ბარაქის სიმბოლოდ მიაჩნდათ, რომაელები კი მას ჯანმრთელობასა და ძალასთან აიგივებდნენ.

თხილის ნაყოფი შეიცავს 60-70 % ცხიმს, 20 % ცილას, მაკრო და მიკროელემენტებს (რკინა, იოდი, სპილენძი, ვიტამინები და სხვა), იგი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებებს გამოდევნიან და ხელს უწყობენ იმუნური სისტემის გაძლიერებას. აშშ-ში, პორტლენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, თხილის ექსტრაქტში აღმოაჩინეს ნივთიერება პაქლიტაკსელი, რომელიც შედის დღეისთვის ყველაზე ცნობილ ანტისიმსივნური პრეპარატის (TAXOL) შემადგენლობაში, დღემდე ამ ნივთიერების ერთადერთ ბუნებრივ წყაროდ ითვლებოდა ტისის მერქანი (ერთ-ერთი იშვიათი მცენარე, რომელიც გავრცელებულია წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში), აღმოჩნდა, რომ თხილი ამ ნივთიერებას იგივე რაოდენით შეიცავს.

თხილის გულისგან ამზადებენ უმაღლესი ხარისხის შოკოლადს, კანფეტებს, გოზინაყს, ჩურჩხელებს და სხვა.

თხილი ეროზიასაწინააღმდეგო კულტურაა, იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისგან, მისი მერქანი მსუბუქი და მტკიცეა, რის გამოც იყენებენ საოჯახო ინვენტარის და ავეჯის მრეწველობაში.

დღეისთვის გავრცელებული რამდენიმე ათეული აბორიგენული ჯიშის სახელწოდებები - შველისყურა, ანაკლიური, გულშიშველა, ხაჭაპურა, ნემსა და მრავალი სხვა მათ ადგილობრივ წარმოშობაზე მიგვითითებს.

საქართველოში თხილი გვხვდება შავი ზღვის სანაპიროზე აჭარის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, იმერეთის და აღმოსავლეთ საქართველოს (ლაგოდეხი, ყვარელი) რაიონებში.

თხილის კულტურა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც მსოფლიო ბაზრის ყურადღების ცენტრშია. საქართველოსთვის თხილს სერიოზული ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იგი მოსახლეობის შემოსავლის წყარო იყო. ჩვენი ქვეყნიდან 1917 წლის რევოლუციამდე დიდი რაოდენიბით თხილი გადიოდა ევროპის ბაზარზე, მაგრამ საბჭოთა პერიოდში თხილის ნარგაობა შემცირდა და შესაბამისად შემცირდა ექსპორტიც. მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, როცა დასავლეთ საქართველოში განახლდა თხილის პლანტაციების გაშენება და შეიქმნა გადამამაუშავებელი ქარხნები.

თხილი ზიანდება სხვადასხვა მავნე ორგანიზმებით (დაავადებები, მავნებლები, სარეველები).

თხილის სარეველებია: ეწრის გვიმრა (Pteridium tauricum Presl. V. Kreez.), ჩადუნა (Dryopteris Adans.), მაყვალი (Rubus L.), ეკალღიჭა (Smilax excelsa L.), გრაკლა (Spiraea L.), ოქროწკეპლა (Solidago virga aurea L.), კაროლინის ძაღლყურძენა (Solanum carolinense L.), ავშანფოთლიანი ამბროზია (Ambrosia artemisiifolia L.), მწვანე ძურწა (Setaria viridis (L.) P. B.), ყვითელი ძურწა (Setaria glauca (L.) P. B.), მწყერფეხა (Digitaria sanguinalis (L.) Scop.), ჯიჯლაყა (Amaranthus retroflexus L.), ღიღილო (Centaurea depressa M. B.), ნაცარქათამა (Chenopodium album L.), გვირილა (Pyrethrum ), მინდვრის მდოგვი (Sinapis arvensis L.), ღიჭა (Sonchus L.), მინდვრის ნარი (Cirsium arvense (L.) Scop.), ჩაქვის ბალახი (Pollinia imberbis Nees), ბურჩხა (Echinochloa crus-galli (L.) R. et Sch.) და სხვა.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მათგანის მოკლე დახასიათება.

## ეწრის გვიმრა - Pteridium tauricum Presl. V. Kreez.

მრავალწლიანი, სპოროვანი, ფესურიანი, ძნელად აღმოსაფხვრელი მცენარეა გვიმრისებრთა ოჯახიდან, რომლის სიმაღლე 2 მ-მდე აღწევს. ფესურა - მხოხავი, ფოთოლი - 2-3-ჯერ ფრთისებრდანაკვთულია, ქვედა მხარე წითური ხშირი ბუსუსებითაა შებუსული, მრავლდება ფესურითა და სპორებით. სპორები ივლის-აგვისტოში მწიფდება.

## ჩადუნა - Dryopteris Adans.

მრავალწლოვანი, ბალახოვანი, სპოროვანი, ფესურიანი მცენარეა კალამურასებრთა ანუ ნამდვილი გვიმრების ოჯახიდან, სიმაღლით 1 მ-მდე სიმაღლის. მიწის ზევით განვითარებული ღერო არ გააჩნია. ფესურა კი კარგადაა განვითარებული და ძველი ფოთლების ყუნწების ძირებსა და მრავალ თხელშრიან ქერქშია გახვეული. კენტფრთართული დიდი ზომის ფოთლები ფესვის ყელთან ჯგუფურადაა შეკრებილი; ახალგაზრდა ფოთლები სპირალურადაა დახვეული და ზრდის მსვლელობაში თანდათან სწორდება.

## მაყვალი - Rubus L.

მრავალწლიანი, ბუჩქოვანი მცენარეა ვარდისებრთა ოჯახიდან, მეტწილად ხვიარა ბუჩქია, აქვს ეკლებით ან ჯაგრებით მოფენილი გრძელი ღეროები. პირველი წლის ყლორტებზე მხოლოდ ფოთლებია, მეორე წლის ყლორტებზე კი - ყვავილები და ნაყოფები. ყვავილები მარტოულია, უფრო იშვიათად ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი კრებადია (წითელი ან მოწითალო-მოშავო, წვნიანი).

## ეკალღიჭა - Smilax excelsa L.

მრავალწლიანი, მარადმწვანე, ხვიარა, ბუჩქოვანი, მცენარეა 30-50 სმ სიმაღლის, აქვს ძლიერი ფესურა, ფესვები ვრცელდება 1 მ-მდე, ღერო დაფარულია ეკლებით, ფოთლები სამკუთხა-კვერცხისებრი ან მორგვალო-კვერცხისებრი, ფუძე გულისებრი, რკალური დაძარღვით, წაწვეტებული, ყუნწიანი, დამახასიათებელია ორი ულვაში, ყვავილი თეთრი, პატარა, შეკრული ქოლგად, ნაყოფი მრგვალი, წითელი კენკრაა.

## გრაკლა - Spiraea L.

მრავალწლიანი, ბუჩქოვანი მცენარეა ვარდისებრთა ოჯახიდან, 1-1,5 მ სიმაღლის, აქვს მოგრძო-კვერცხისებრი, მორიგეობით განლაგებული, დაკბილული ფოთლები, ქოლგისებრ ან ფარისებრ ყვავილედებში თავმოყრილი თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები, ნაყოფი სუსტად შებუსული მრავალფოთლურაა.

## ოქროწკეპლა - Solidago virga aurea L.

მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი სარეველაა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან. ღერო - სწორმდგომი, შეფოთლილი, შებუსული, 30-100 სმ სიმაღლის; ფოთლები - მორიგეობით განლაგებული, ელიფსური, კიდედაკბილული, ფესვთანური ფოთლები მოგრძო კვერცხისებრი ან ფართო, ნიჩბისებური, ზედა კი - ლანცეტაა, მჯდომარე; ყვავილედი - კალათა, 10-15 მმ, ყვავილი ყვითელი, ყვავილობს მაისიდან სექტემბრამდე, თესლი მწიფდება ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე; თესლურა - ცილინდრული, 3-4 მმ, შებუსული, მუქი ფერის ქოჩრით 4-5 მმ სიგრძის.

## კაროლინის ძაღლყურძენა - Solanum carolinense L.

მრავალწლიანი ფესვნაყარი სარეველაა, წააგავს კარტოფილს. საქართველოში შეზღუდულად გავრცელებული საკარანტინო სარეველაა. ღერო სწორი, 30-120 სმ სიმაღლის, მსხვილი, დატოტვილი ვარსკვლავისებური ბეწვებით და მაგარი, მოყვითალო ეკლებით. ყვავილები მოთეთრო ან იასამნისფერი, ნაყოფი კენკრაა, მოყვითალო ან ნარინჯისფერი, მრგვალი, გლუვი ზედაპირით (1,5-2 სმ). კენკრაში 40-60 თესლია. თესლის სიგრძე 2-3 მმ, ოვალური, მკერდშეჭყლეტილი, ყვითელი ან ყავისფერი, ფოსოებიანი ზედაპირით. მცირე ზომის ჭიპი მოთავსებულია თესლის წიბოზე.

## ღიღილო - Centaurea depressa M. B.

ღიღილო ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა რთულყვავილოვანთა ოჯახიდან, სიმაღლით 30-80 სმ, წვრილი დატოტვილი ფესვით და სწორტოტებიანი ღეროებით, რომლებიც შებუსულია მორუხო-თეთრი ბეწვებით. ფოთლები მორიგეობით განლაგებული, მორუხო-მწვანე, ქვედა სამნაწილიანია, ან ფრთისებრ დატოტვილი, ყუნწიანი, ზედა ხაზურაა, მთლიანი. ყვავილები შეკრებილია კალათა ყვავილედად, რომლებიც ტოტის წვერზე და მის განშტოებებზეა მოთავსებული, კიდურა ყვავილები მილისებრია ან ძაბრისებრი, ლურჯი ფერის, შიდა – იისფერია. ნაყოფი რუხი ან მორუხო-ყვითელი, მოგრძო, პრიალა თესლია. ღიღილო ყვავილობს ივნის-ივლისში, თესლი მწიფდება აგვისტოში.

## ჩაქვის ბალახი - Pollinia imberbis Nees

ერთწლიანი სარეველა მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან, აქვს გრძელი, წვრილი ფესვები; ღეროს სიგრძე 40-100 სმ, დატოტვილი, აღმავალი, შეუბუსავი, შეიძლება დაფესვიანდეს; ფოთლები ლანცეტისებური, სუსტად შებუსული, მწვანე; ყვავილედი - თავთავი, ლანცეტისებური, 4,5-6 მმ სიგრძის, ყვავილობს ზაფხულის ბოლოს. მარცვალი ელიფსური, მოყვითალო-მოწითალო, ზომით 2.8-3 მმ, მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში.